ზრუნვა თუ კონტროლი:

საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
2022

მოცემული კვლევა მომზადდა პროექტის – „ჰუმანური ნარკოპოლიტიკის და სამართალდამცავი სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდის მიერ.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს ღია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე
კვლევის ავტორი: თორნიკე გერლიანი
რედაქტორი: ნინო ხიდიშელი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ISBN: 978-9941-8-4460-1

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი და კვლევის მიგნებები 6
მეთოდოლოგია 11

I. რა იწვევს ნარკოტიკულ დანაშაულს? 13

II. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ამხსნელი თეორიული ჩარჩოები და მიმართებები 18
2.1. დეტერმინისტული თეორიები 18
2.2. განსხვავებულად დასმული კითხვები 22
2.3. „თავშეკავების კვლევების“ ფარგლებში განვითარებული მოსაზრებები .. 25

III. როგორია პრობაციის სისტემის როლი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის აღკვეთის პროცესში? 31

IV. ნარკოდანაშაულის პრევენციის მექანიზმები 38

V. პრობაციის თანამედროვე გაგება და ჰოლისტური მიდგომები 44

VI. პრობაციის სისტემა საქართველოში – შესავალი 49

VII. ნარკოდანაშაულისთვის პირობით მსჯავრდებულები საქართველოში – ზოგადი სურათი 52

VIII. ზრუნვისა და კონტროლის ძირითადი მიდგომები პრობაციის სისტემაში 57

IX. სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებზე ხელმისაწვდომობა პრობაციის სისტემაში და მათი სპეციალიზება 68

X. კვლევა და ტრანსფარენტულობა 74

დასკვნა და რეკომენდაციები 78
ბიბლიოგრაფია 81

შესავალი და კვლევის მიგნებები

პრობაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. ისტორიულად, პრობაციის პრაქტიკები XIX საუკუნის შუა პერიოდში ჩნდება. ერთ-ერთი ავტორი (Jake Phillips), ბრიტანეთის და აშშ-ის შედარებითი ისტორიული ანალიზის საფუძველზე გამოყოფს ორ ძირითად მიდგომას, რასაც პრობაციის პრაქტიკები დაეფუძნა: პირველ შემთხვევაში, წამყვანი იყო ქრისტიანული მისიონერული საქმიანობა მართლმსაჯულების სისტემაში. ის ეყრდნობოდა პიროვნების სულიერი ტრანსფორმაციის, ერთგვარად „ახალ ადამიანად ქცევის" იდეას. ამ გაგებით, ბრიტანეთში *„რელიგიურმა მგრძნობელობამ განსაზღვრა პრობაციის პირველი მნიშვნელოვანი იდეოლოგია".*[1] აშშ-ში, საპირისპიროდ, პრობაციის პირველი პრაქტიკები ეყრდნობოდა ადამიანის მიერ რაციონალური არჩევანის გაკეთების რწმენას (მათ შორის ისეთი ფაქტორების მოქმედების პირობებში, როგორიც, მაგალითად, სიღარიბეა).[2] უნდა ითქვას, რომ პრობაციის ეს პრაქტიკები მყარ ინსტიტუციებად მოგვიანებით, XX საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას.[3] ამ იდეური სხვაობების მიუხედავად, ითვლება, რომ ორივე შემთხვევაში, მიზანი ინდივიდებზე ციხის ნეგატიური ეფექტების შემცირება[4] და საპატიმრო სასჯელის საპირისპიროდ უფრო ჰუმანური ალტერნატივის შეთავაზება იყო.[5]

შეიძლება ითქვას, რომ ამ საწყისებმა გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც პრობაციის სისტემებში განსხვავებული კომპონენტების დომინირება. მაშინ, როცა აშშ-ში პრობაციის სააგენტოები მონიტორინგის გაძლიერებაზე იყვნენ ორიენტირებულები, ბრიტანეთში, ამ ფუნქციასთან ერთად, 1907 წლის აქტით, *„რჩევის, დახმარებისა და დამეგობრების"* ვალდებულებაც იკისრეს.[6] ეს დაყოფა, ბუნებრივია, უფრო მეტად ზოგადი ტენდენციისა და კონტექსტის ახსნის მიზნებისთვის არის გამოსადეგი და არ ასახავს სხვადასხვა სისტემის შიგნით არსებულ ყველა შრესა და დინებას. ამასთან, ამგვარი თეორეტიზება ასევე გამოსადეგია პრობაციის ორი ბუნების წარმოსაჩენად. თანამედროვე სისტემებში, პრობაცია, როგორც წესი, ახორციელებს, როგორც კონტროლისა და მონიტორინგის, ასევე ზრუნვის, მხარდაჭერისა და სოციალური ინ-

1 Jake Phillips, The social construction of probation in England and Wales, and the United States: implications for the transferability of probation practice, British Journal of Community Justice, 8 (1), 2010, p. 4, available at: https://bit.ly/3N9L4Mw, accessed on: 19.04.2022.

2 Ibid, pp. 4-5.

3 Ibid, p. 6.

4 Ibid, p. 3.

5 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 41.

6 ამ დიფერენცირების გავლენით, ასევე განარჩევენ ,,ბენეფიციარის მენეჯმენტზე" და ,,ბენეფიციარზე ორიენტირებულ" მიდგომებს (Client-management versus Client-centredness). Jake Phillips, The social construction of probation in England and Wales, and the United States: implications for the transferability of probation practice, British Journal of Community Justice, 8 (1), 2010, pp. 8-10.

კლუზიის ფუნქციებს. შესაბამისად, ის ერთდროულად არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სოციალური პოლიტიკის ნაწილი.

განსხვავებების მიუხედავად, შეგვიძლია ვისაუბროთ ზოგად ტენდენციებზეც. თანამედროვე ნეოლიბერალური სისტემები ხასიათდება ციხის პოპულაციების ზრდით და „კონტროლის კულტურის" წარმოებით.[7] მიუხედავად იმისა, რომ პრობაციის ფუნქციები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ფართოვდებოდა, მან მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ციხის საერთო პოპულაციის შემცირებაზე (ინგლისის მაგალითზე).[8] ზოგადად, პრობაციის არსებული სისტემების კრიტიკა მიემართება იმას, რომ ხშირად ისინი უფრო მეტად არიან კონცენტრირებულნი რისკების მენეჯმენტზე და ზედამხედველობაზე, ვიდრე სოციალურ გაძლიერებაზე.

პრობაციის სისტემის როლი უმნიშვნელოვანესია ნარკოტიკული დანაშაულის კონტექსტში. საქართველოში ნარკოპოლიტიკა დღემდე მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. ნარკოტიკების მომხმარებლები (გარდა მარიხუანისა), არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, კვლავაც ექვემდებარებიან მკაცრ სასჯელებს, რასაც ემატება ზრუნვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, სტიგმისა და გაუცხოების მძიმე პრაქტიკები. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფო ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ ქცევებს (ფლობა, შეძენა, შენახვა, კულტივაცია და ა.შ.), და დიდწილად მოხმარებასაც, რეპრესიის მზერით უყურებს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების თანახმად, ნარკოტიკული დანაშაულებისთვის მსჯავრდებულთა დიდ ნაწილში იკვეთება მძიმე სოციალური კონტექსტი, ასევე მხარდაჭერისა და მკურნალობის სერვისების მიწოდების აუცილებლობა. ნარკოდანაშაულების უმრავლესობისთვის მსჯავრდებული ადამიანებისთვის საპატიმრო სასჯელები არა უბრალოდ არაჰუმანური, არამედ გამოუსადეგარია სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, პრობაციის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დიდია: მას იდეალურ შემთხვევაში შეუძლია შეითავსოს მსჯავრდებულებზე ზრუნვისა და მხარდაჭერის ფუნქცია, კონტროლის ნაკლები ინტენსივობის პირობებში.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას, არსებული მიდგომების, კანონმდებლობისა და პოლიტიკის გათვალისწინებით გამოკვეთოს, რამდენად შესწევს ქართულ პრობაციის სისტემას ამ ფუნქციის სათანადოდ შესრულების უნარი.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში პრობაციის სააგენტოს ფუნქციონირების, გამოწვევებისა და ნარკოდანაშაულებთან ბმის საკითხებზე ფუნდამენტური კვლევები

7 Ibid, p. 1.

8 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 41.

ძალზე მწირია. ეს ფაქტი განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, რომ საქართველო ევროპაში ერთ-ერთი მოწინავეა პრობაციონერების პროცენტული მაჩვენებლის მხრივ. კერძოდ, 2020 წლის მონაცემებით, ევროპის მასშტაბით, 100.000 ადამიანზე, ყველაზე მეტი პრობაციონერი, პოლონეთის, თურქეთისა და ლიეტუვის შემდგომ, საქართველოშია (562 პირი).[9] საქართველო ასევე ერთ-ერთია ევროპის სამ ქვეყანას შორის, რომელიც კლასიფიცრდება როგორც *„პრობაციონერების და ციხის პოპულაციის განსაკუთრებით მაღალი რიცხვის მქონე“.*[10] ამდენად, მიიჩნევა, რომ საქართველოში *„პრობაციის სისტემა გამოიყენება არა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივად, არამედ უბრალოდ დამატებითი სანქციის წყაროდ“.*[11]

წინამდებარე კვლევის მიზანია, ფართო სურათში დავინახოთ პრობაციის სისტემა და მისი ადგილი, ასევე შევაფასოთ, რა ძირითადი გამოწვევების წინაშეა ის. საკითხის შესწავლის ფარგლებში გამოიკვეთა შემდეგი **მიგნებები:**

- პრობაციის სისტემის დანიშნულება საქართველოში დანახულია უპირველესად კონტროლის და სასჯელის აღსრულების ტექნიკურ ნაწილში, ზრუნვის ვალდებულება კი პოლიტიკის ცენტრალურ კომპონენტად არ განიხილება;
- ნარკოდანაშაულებთან მიმართებით, პირობით მსჯავრთან ერთად, აქტიურად გამოიყენება ისეთი სახის დამატებითი სასჯელები, რომლებიც პირზე სოციალურ და ფინანსურ წნეხს ზრდის (ჯარიმა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა);
- ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების უდიდესი უმრავლესობა, დანაშაულის ჩადენის მომენტში, უმუშევარია;
- პრობლემურია პრობაციის ოფიცრის ფართო დისკრეცია, როცა მას უფლება აქვს ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა;
- პირობით მსჯავრდებულისთვის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულება ლოგიკური გაგრძელებაა არსებული ნარკოპოლიტიკის, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებს დღემდე სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტებად ხედავს. ამდენად, ეს პრობლემა უნდა დავინახოთ უფრო ფართოდ, ნარკოპოლიტიკის კრიტიკის ჭრილში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების კრიმინალიზებაა;
- ამასთან, პრობაციის ეროვნული სააგენტო არ ამუშავებს ინფორმაციას, რამდენჯერ მიმართა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის თაობაზე შინაგან

9 Marcelo F. Aebi, Yuji Z. Hashimoto and Mélanie M. Tiago, Probation and Prisons in Europe, 2020: Key Findings of the SPACE reports, Council of Europe, 2021, p. 4, available at: https://bit.ly/3JPEiZk, accessed on: 19.04.2022.

10 Ibid, p. 7.

11 Ibid, p. 8.

საქმეთა სამინისტროს. შედეგად, ადამიანების კონტროლზე მიმართული სტრატეგიები გაუსაჯაროებელი, მისი მასშტაბი კი ბუნდოვანი რჩება;

- პირს დამოუკიდებლად არ შეუძლია მიმართოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუდმივმოქმედ კომისიას, პირობითი მსჯავრის გაუქმების და ნასამართლობის მოხსნის თხოვნით. ამ პროცესში პრობაციის ბიუროს უფროსს გაუმართლებელი დისკრეცია აქვს, საკითხს კი გაუმჭვირვალედ წყვეტს;
- მუდმივმოქმედი კომისია, როგორც პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, ასევე ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით უფლების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე, უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის გარეშე იღებს, რაც გამჭვირვალობის პრინციპს ეწინააღმდეგება;
- პრობაციის სისტემაში სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის გეოგრაფიული თვალსაზრისით, მკვეთრად შეზღუდულია;
- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მაღალია პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დატვირთულობის მაჩვენებელი;
- პრობაციის სისტემაში აშკარა დისპროპორციაა ერთი მხრივ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების, მეორე მხრივ, პრობაციის ოფიცრების წარმომადგენლობის მასშტაბებს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს პრობაციის სისტემაში ზრუნვისა და მხარდაჭერის მიდგომების ფაქტობრივ დეფიციტზე მიუთითებს;
- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რესურსების არსებული განაწილება არ ეფუძნება კონკრეტულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს, რაც არსებითია მისი მუშაობის ეფექტიანობის შეფასებისთვის;
- პრობაციონერების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით, რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში, შეზღუდულია სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობა, წამყვანი როლი კი პრობაციის ოფიცერს აქვს მინიჭებული;
- ბენეფიციარის ჩართულობა, მისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში, მინიმალიზებულია. მას ასევე არ აქვს შესაძლებლობა თავად მოითხოვოს მისი სოციალური მდგომარეობის და პიროვნული მახასიათებლების (დინამიკური ფაქტორების) სიღრმისეული შესწავლა და შეფასება;
- პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით, ყოფილი პატიმრებისგან განსხვავებით, ნაკლებად კონკრეტულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვალდებულებები სოციალური მხარდაჭერისა და გაძლიერების მომსახურებების მიწოდების ნაწილში;
- მცირეა იმ ყოფილი პატიმრების რიცხვი, ვინც შესაბამისი დახმარებისთვის პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიმართა, რაც სააგენტოს მხრიდან მეტი ინფორმირებისა და ძალისხმევის გაწევის აუცილებლობაზე მიუთითებს;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებისთვის არ არსებობს სპეციალიზაციის მოდულები, რომელიც მათ ნარკოდანაშაულის კონტექსტისა და მახასიათებლების შესახებ მეტი ცოდნით აღჭურავდა;

- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არ მიმდინარეობს აქტიური კვლევითი საქმიანობა, პირობით მსჯავრდებულთა სოციალური მახასიათებლების ანალიზისა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკების შემუშავებისთვის;
- ზოგადად, ბევრ კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით (როგორებიცაა: ნარკოდანაშაულში პირობით მსჯავრდებულების მხრიდან განმეორებითი დანაშაულების ჩადენა, კვირაში ერთხელ გამოცხადების გარდა სხვა მოვალეობების დაკისრება და სხვ.), კვლევაზე, სტატისტიკის წარმოებასა და ანალიტიკაზე დაფუძნებული საქმიანობა, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ძალზე ფრაგმენტულია ან ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ არ არსებობს.

მეთოდოლოგია

მოცემულ კვლევას ორი მთავარი მიზანი აქვს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მისი მეთოდოლოგიაც.

კვლევის ერთი ნაწილი ნარკოდანაშაულის, მისი გამომწვევი მიზეზების თეორიულ ანალიზს, ასევე პრობაციის როლის, დანიშნულებისა და ნარკოდანაშაულთან ბმის წარმოჩენას ემსახურება. დასახელებულ საკითხებს ეთმობა კვლევის I-V თავები. აღნიშნულ ნაწილში მიმოხილულია ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზების თაობაზე არსებული კვლევები და ემპირიული მონაცემები; დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ამხსნელი თეორიული მიდგომები; ნარკოდანაშაულის პრევენციის მექანიზმები; პრობაციის როლის, დანიშნულებისა და მისი თანამედროვე გაგების შესახებ არსებული სამეცნიერო რეფლექსიები და დაკვირვებები. საბოლოოდ, წარმოდგენილი მსჯელობები იმის წარმოჩენას ემსახურება, თუ რა ტრანსფორმაციული ხედვა შეიძლება არსებობდეს, როცა ვსაუბრობთ ნარკოდანაშაულების პრევენციაზე პრობაციის სისტემის ჭრილში. კვლევის მთავარი სათქმელი ამ ნაწილში ის არის, რომ პრობაციის სისტემამ, მისმა პროსოციალურმა გაგებამ, მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს პირობით მსჯავრდებულთა პიროვნული და სოციალური გაძლიერების გზაზე.

კვლევის მეორე ნაწილი, VI-X თავები ეთმობა ქართული პრობაციის სისტემის ანალიზს და მისი ეფექტიანობის შეფასებას ნარკოდანაშაულებთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში, მთავარი ფოკუსი გაკეთდა სისხლის სამართლის იმ ნორმებზე, სადაც არ ფიგურირებს ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მიზანი, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 261-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 265-ე მუხლის I და II ნაწილები; 273-ე მუხლი; და 273[1] (პრიმა) მუხლის I, II, III, IV, V, VI, და VII ნაწილები. კვლევის ამ ნაწილში დამუშავდა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციები, რომელმაც შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო ქართული პრობაციის სისტემის მიდგომები, ნარკოდანაშაულებში პირობით მსჯავრდებულთა ზოგადი სურათი, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არსებული ძირითადი გამოწვევები, სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა და სხვ. საბოლოოდ, ამ თავებში წარმოდგენილი მსჯელობები იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას: საქართველოში პრობაციის სისტემა ფუნქციონირებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ლოგიკით, სადაც კონტროლზე მიმართულ მეთოდებს წამყვანი როლი აქვთ. სოციალურ გაძლიერებაზე ორიენტირებული საქმიანობა არ არის სათანადოდ წახალისებული არც საკანონმდებლო და არც პრაქტიკულ დონზე.

მთლიანობაში, კვლევის შესაბამისი ნაწილების მიზნებიდან გამომდინარე, დოკუმენტში მოხმობილი ინფორმაციები ეყრდნობა განსხვავებულ წყაროებს. თეორიული

მსჯელობები ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევებს, სტატიებსა და ანგარიშებს, რომლებიც სანდოობის, ვალიდურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებენ. პრობაციის სისტემური მოწყობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების წარმოსაჩენად, კვლევა ძირითად აქცენტს აკეთებს „პრობაციის წესების თაობაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებზე“. აქვე დავამატებთ, პრობაციის ქართული მოდელისა და მისი გამოწვევების შეფასებისთვის, წინამდებარე კვლევაში ასევე გაანალიზებულია სხვადასხვა სახის სამართლებრივი აქტები და რელევანტური სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციები.

უნდა ითქვას, რომ დოკუმენტის მთავარ შეზღუდულობას სოციოლოგიური კვლევის კომპონენტის არარსებობა წარმოადგენს. ბუნებრივია, ჩვენ გააზრებული გვაქვს, რომ კვლევის ზოგიერთი ნაწილი ამ კუთხით საჭიროებს დამატებით შესწავლას და დაკვირვებას. ეს უმთავრესად ეხება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუშაობის პრაქტიკულ კომპონენტებს. ამასთანავე, აღნიშნული ტოვებს სივრცეს შემდგომი, უფრო მრავალმხრივი სამეცნიერო და კვლევითი კონტრიბუციებისთვის.

I. რა იწვევს ნარკოტიკულ დანაშაულს?

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ძიება ცენტრალური მნიშვნელობისაა სისხლის სამართლის პოლიტიკის ანალიზისა და შეფასებისთვის. კრიმინალური ქცევის მაპროვოცირებელი ფაქტორების, ადგილობრივი კონტექსტებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ტრაექტორიების შედარებამ უნდა გამოკვეთოს, სხვადასხვა სტრუქტურის მოქმედების ლოგიკის სისწორე ან მისი მცდარობა. ამ ფუნდამენტური დაშვებით, წინამდებარე თავში მიმოხილულია ის ძირითადი დაკვირვებები, რომლებიც ნარკოდანაშაულის ახსნისთვის გამოიყენება და რომლებიც რელევანტურობას იძენენ ქართულ კონტექსტში.

ნარკოდანაშაულის, ისევე როგორც ნებისმიერი დევიანტური ქცევის განმაპირობებელი მიზეზები, მრავალგვარია. დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თეორიული ჩარჩოები და არაერთი ემპირიული დაკვირვება მოიძებნება, რომლებიც დანაშაულის, როგორც სოციალური ფენომენის, კომპლექსურობაზე მიუთითებს.[12] ამ სფეროში თეორიული და პრაქტიკული კვლევითი კონტრიბუციები დაახლოებით 200-წლიან პერიოდს და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების შეხედულებებს ეფუძნება, კერძოდ, სამართლის ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ბიოლოგების, ფსიქოლოგებისა და პოლიტიკის მეცნიერების ნააზრევს.[13]

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ან მასთან დაკავშირებული ნარკოდანაშაულების ჩადენის მიზეზების ანალიზი იშვიათად ფოკუსირდება ქმედების ჩამდენის ინდივიდუალურ მოტივაციაზე. საპირისპიროდ, გავრცელებული და მიღებულია ქმედების ახსნა ისტორიული, სივრცითი, სოციო-კულტურული და ეკონომიკური პერსპექტივებიდან.[14] ასეთი ახსნები ძირითად აქცენტებს აკეთებს ქმედების ჩამდენის ბიოგრაფიაზე, სოციალიზაციის დეფიციტის არსებობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე.[15] შესაბამისად, უმთავრესი ყურადღება ექცევა მძიმე ოჯახურ პირობებში აღზრდის გამოცდილებას, არახელსაყრელ სოციალურ არეალებში ცხოვრებას, სიღარიბესა და უმუშევრობას.[16] ამ პერსპექტივით საკითხის დანახვა საფუძველს იღებს სხვადასხვა თეორიული ჩარჩოდან, რომლებიც XX საუკუნიდან განვითარდა

12 John Lea, Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis, International Journal for Crime, Justice and Social Democracy, 2016, p. 60.

13 Roger Hopkins Burke, An Introduction to Criminological Theory, Third Edition, Willan Publishing, 2009, p. 1.

14 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის ცალკეული სახის ანალიზზე), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 57, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CTPMcL, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

15 იქვე.

16 იქვე.

და ძირითადად ეფუძნება ფუნქციონალისტურ და კრიტიკულ სოციოლოგიურ ტრადიციებს.[17]

უპირველესად, განსახილველია საქართველოში ნარკოდანაშაულის გამომწვევი ფაქტორები. ამ საკითხზე ჩატარებული უახლესი კვლევა „დანაშაულის და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნარკოდანაშაულში ყოფილი მსჯავრდებულები და კვლევის განხორციელების დროისთვის მსჯავრდებული პირების ოჯახის წევრები,[18] მიუთითებს, რომ ნარკოტიკების მოხმარება დაკავშირებულია შემდეგ ძირითად ფაქტორებთან: ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციისა და განტვირთვის მიზნით; ნარკოტიკული საშუალების მიმართ ინტერესი; ოჯახისა და პირადი მძიმე ფინანსური მდგომარეობა; საახლობლო წრეში (ოჯახი, სანათესაო, სამეზობლო, სამეგობრო წრე და ა.შ.) ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა, არაინფორმირებულობა ნარკოდანაშაულის ან ნარკოტიკული ნივთიერების მავნე ზეგავლენის შესახებ და ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა, სტრესი.[19] რესპონდენტების ნაწილმა ნარკოტიკების მოხმარების განმაპირობებელ ზოგად მიზეზებსა და კონტექსტზე საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ ის, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალებების მარტივ ხელმისაწვდომობასთანაც.[20]

უნდა ითქვას, რომ იმ ნაწილში, სადაც რესპონდენტები ცალკეულად აფასებდნენ ნარკოტიკების მოხმარების, შეძენა-შენახვის, მოყვანა-დამზადების და გასაღების გამომწვევ ფაქტორებს, ბუნებრივია, გამოიკვეთა განსხვავებები ამ ფაქტორების მნიშვნელობისა და ინტენსივობის თაობაზე. საგულისხმოა, რომ მოხმარების, შეძენა-შენახვის და მოყვანა-დამზადების მიზეზების თაობაზე გამოთქმული მოსაზრებები უფრო უახლოვდება ერთმანეთს, ვიდრე გასაღების.[21] სხვა ქვეყნებში ჩატარებული ზოგიერთი კვლევა, ნარკოტიკების გასაღებასთან კავშირში, შემოსავლის მიღების

17 William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, Rice University, 2013, pp. 208-212.

18 რაოდენობრივი კვლევისთვის რესპონდენტები არაალბათური შერჩევის მოდელით შეირჩნენ, კერძოდ „თოვლის გუნდის" პრინციპის გამოყენებით – ერთი მხრივ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა), ხოლო მეორე მხრივ, ნარკოდანაშაულის ჩამდენმა ინდივიდებმა გააზიარეს სამიზნე ჯგუფის სხვა წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია, რამაც შესაძლებელი გახადა გამოკითხვაში მონაწილეთა წრის გაფართოება. კვლევა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. გამოკითხვაში სულ მონაწილეობა მიიღო 708 ინდივიდმა, რომლებიც დანაშაულის ტიპის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობა/ძარცვა) – 348 რესპონდენტი; ნარკოდანაშაული – 360 რესპონდენტი. გარდა ამისა, კვლევის თვისებრივი ნაწილის ფარგლებში, 17 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა. იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 10-12, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3N0EYhk, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

19 იქვე, გვ. 159.

20 იქვე, გვ. 172.

21 იქვე, გვ. 173-175.

გზით სოციალური სტატუსის მოპოვებაზეც მიუთითებს.[22] მთლიანობაში, სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების, როგორც მოხმარების, ასევე გასაღების ნაწილში, კვლევებით დასტურდება პირდაპირი კავშირი ამ ქმედებებსა და სოციო-ეკონომიკურ პირობებს, დაბალ სოციალურ ფენისადმი კუთვნილებას, სტატუსს ან საცხოვრებელ გარემოს შორის.[23]

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დასკვნები გამომდინარეობს 2016 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული კვლევიდანაც. ნარკოტიკების მოხმარების ხელშემწყობი ფაქტორების კვლევის შედეგების თანახმად, *„პირველ ფაქტორად დასახელდა ბევრი თავისუფალი დროის ქონა, უმუშევრობა (28,9%), მეორე ფაქტორად დასახელდა სოციალური გარემო, ოჯახი და სამეგობრო წრე (19,4%). ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა ნარკოტიკულ საშუალებაზე მარტივი ხელმისაწვდომობა (14,3%), ფინანსური და სოციალური პრობლემები (12,6%) და ა.შ“.*[24]

კვლევაში „დანაშაულის და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა“, საინტერესოა ნარკოდანაშაულის ჩადენის მომენტში რესპონდენტების დემოგრაფიული და სოციალური მონაცემები. ამ ტიპის ინფორმაციები მნიშვნელოვანია ერთგვარი სოციალური პორტრეტის წარმოსადგენად და იმ მდგომარეობის აღსაწერად, რაც წინ უსწრებდა კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის განხორციელებას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი დემოგრაფიული მახასიათებლებიდან გამოსარჩევია რამდენიმე:

ასაკი – ნარკოდანაშაულში ყოფილი მსჯავრდებულების აბსოლუტური უმრავლესობა, დანაშაულის ჩადენის მომენტში ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის იყო.[25] მსგავსი განაწილება დაფიქსირდა კვლევის განხორციელების დროისთვის მსჯავრდებული პატიმრების ოჯახის წევრებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგადაც.[26]

განათლების დონე – ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობას (56.2%) პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე არ ჰქონდა მიღებული სხვა ტიპის განათლება, გარდა საშუალო განათლებისა (10-12 კლასები).[27] კვლევის განხორციელების დროისთვის

22 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.

23 იქვე.

24 პროკურატურის კვლევა: უმუშევრობა, სოციალური გარემო – წამალდამოკიდებულების ხელშემწყობი ფაქტორი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IlVdSA, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

25 კერძოდ, ყოფილი მსჯავრდებულების 18.4% 25 წლამდე, 40.5% 25-დან 34 წლამდე, ხოლო 30.3% – 35-დან 44 წლამდე იყო. იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221.

26 იქვე.

27 დარჩენილი რესპოდენტებიდან, 21.1%-ს სრული უმაღლესი, 11.4%-ს პროფესიული, 9.7%-ს კი არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული. იქვე, გვ. 222.

მსჯავრდებული პატიმრების შემთხვევაში, მხოლოდ საშუალო განათლების მქონე რესპონდენტების წილი შედარებით ნაკლები, თუმცა მაინც მაღალი – 48% იყო.[28]

შემოსავალი – კვლევის მიხედვით, ნარკოდანაშაულში ყოფილ მსჯავრდებულებს შორის დაახლოებით მეხუთედი იყო ისეთი, ვისი შემოსავალიც 700-1000 ლარის ფარგლებში, ან 1000 ლარზე მეტი იყო.[29] რესპონდენტების 16.2% დანაშაულის ჩადენის მომენტში ყოველგვარი პირადი შემოსავლის გარეშე იყო, 15.1%-ს არ ჰქონდა სტაბილური შემოსავალი, დანარჩენების შემოსავალი კი უკიდურესად მწირი იყო.[30] მძიმე სოციალური ფონი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა კვლევის განხორციელების დროისთვის მსჯავრდებულ პატიმრებში. კერძოდ, ოჯახის წევრებთან ჩატარებულ გამოკითხვაზე დაყრდნობით აღმოჩნდა, რომ 8%-ს არ აღემატებოდა იმ პატიმართა რიცხვი, ვისაც დანაშაულის ჩადენის დროს 700 ლარზე მეტი შემოსავალი ჰქონდა.[31]

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა – ყოფილი მსჯავრდებული რესპონდენტების ნახევარზე მეტმა (53.5%) აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენის დროისთვის მისი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო.[32] მათი შეფასებით, საკვებისთვის საკმარისი ფული ჰქონდათ, მაგრამ ყველა სხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საყიდლად, უნდა დაეზოგათ ან ესესხათ.[33] კვლევის განხორციელების დროისთვის მსჯავრდებული პატიმრების ოჯახის წევრების გამოკითხვის შედეგად კი გამოვლინდა, რომ ასეთ მდგომარეობაში გამოკითხულთა მესამედი იყო.[34]

დასაქმების სტატუსი – გამოკითხული ყოფილი პატიმრების/პრობაციონერების 44.3% უმუშევარი, 38.9% კი არაოფიციალურად დასაქმებული იყო.[35] ეს მონაცემები კიდევ უფრო მწვავე აღმოჩნდა კვლევის განხორციელების დროისთვის მსჯავრდებულ პატიმრებში. კერძოდ, მათი ოჯახის წევრების თქმით, ამჟამინდელი პატიმრების 56% დანაშაულის ჩადენის დროისთვის უმუშევარი იყო, 29.6% კი – არაოფიციალურად დასაქმებული.[36]

ამ ტიპის დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენას, ზოგადად, დანაშაულის ჩა-

28 იქვე.
29 იქვე, გვ. 225.
30 იქვე.
31 იქვე.
32 იქვე, გვ. 226.
33 იქვე.
34 იქვე.
35 იქვე, გვ. 227.
36 იქვე.

დენაზე, ასევე ადასტურებს საქართველოში ბოლო 10 წლის მანძილზე მსჯავრდებულთა მონაცემებიც. კერძოდ, ამ პერიოდში, ყოველწლიურად, მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 80-85%-ს საშუალო ან არასრული საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული.[37] ამავე პერიოდში, დანაშაულის ჩადენის დროს უმუშევრობაზე მიუთითებდა მსჯავრდებულთა დაახლოებით 84%.[38]

ამ თავის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ დანაშაულის ჩადენის მაპროვოცირებელი მიზეზების ძიებისას სოციალურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური მოწყვლადობა (მაგალითად, უმუშევრობა ან არასრული განათლება) კრიმინალთან უნდა გაიგივდეს. სწორედ ამგვარი მიდგომები იწვევს იმას, რომ სოციალურად მარგინალიზებული ადამიანები კონტროლისა და დაქვემდებარების ობიექტები ხდებიან. წარმოდგენილი ინფორმაციები იმის საილუსტრაციოდ არის მოყვანილი, რომ ნარკოდანაშაულთან ბრძოლა არა ვიწროდ სისხლისსამართლებრივი, არამედ თავისი არსით სოციალური საკითხია, სადაც ჩაგვრისა და მარგინალიზების ღრმა ფესვების გამოვლენაა შესაძლებელი. ამგვარად, დანაშაულის გამომწვევი სოციალური ფაქტორების კვლევის მიზანი დანაშაულთან ბრძოლის პარადიგმის შემოტრიალება უნდა იყოს, სადაც რეპრესიული მექანიზმების ნაცვლად, აქცენტი გაკეთდება ზრუნვისა და გაძლიერების პერსპექტივებზე.

37 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.
38 იქვე.

II. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ამხსნელი თეორიული ჩარჩოები და მიმართებები

2.1. დეტერმინისტული თეორიები

დანაშაულის ჩადენის მიზეზების ძიების თანადროულად ყალიბდებოდა თეორიული ხედვები, რომლებიც გარკვეულ მიმართებებს გამოკვეთდნენ სოციო-ეკონომიკურ თუ კულტურულ მოცემულობებსა და ინდივიდის/ჯგუფის ქცევას შორის. ეს თეორიები ძირითადად სწორედ სოციალურ ფაქტორებზე კონცენტრირდება და დანაშაულის მიზეზებს ხედავს არა ბიოლოგიურ ან სპეციფიკურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, არამედ სოციალურ სტრუქტურებთან კავშირში.[39]

ერთ-ერთი ასეთი მიდგომა რობერტ მერტონის „ანომიის/წნეხის თეორიაა" (Anomie/Strain Theory), რომელიც დანაშაულის საფუძვლებს სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ წესრიგში ეძებს და არა ადამიანთა შინაგან განსხვავებულობაში.[40] მერტონის მტკიცებით, დანაშაული ხდება მაშინ, როცა ჩნდება ერთგვარი „ხვრელი" (gap) საზოგადოების კულტურულ მიზნებსა (მაგ.: მატერიალური კეთილდღეობა, სოციალური სტატუსი) და მათ მისაღწევად საჭირო სტრუქტურულ საშუალებებს შორის (მაგ.: განათლება, დასაქმება).[41] საშუალებებსა და მიზნებს შორის არსებული დაძაბულობა (წნეხი), გამოხატულებას ჰპოვებს ფრუსტრაციასა და ბრაზში.[42] ეს კი ადამიანთა ნაწილს ახალისებს, რომ მიზნებს არალეგიტიმური და არალეგალური გზებით მიაღწიონ.[43] „წნეხის თეორია", ნარკოტიკული დანაშაულის კონტექსტში, მათ შორის დასახელებული ქართული კვლევის მხედველობაში მიღებით, ღირებული კონტექსტუალიზებისა და თეორეტიზების შესაძლებლობებს ქმნის. ნარკოტიკების გასაღება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ეკონომიკური წნეხის პირობებში მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზანთან.[44] გარდა ამისა, ადამიანები ამ ტიპის დაძაბულობის თავიდან აცილების სურვილით, უარყოფენ საზოგადოებაში არსებული მიზნების მნიშვნელობას, მათ შორის, არასასურველი ყოფითი რეალობისგან გაქცევის, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გზით.[45]

39 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, *in Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 15.

40 Ibid, p. 16.

41 The Scottish Centre for Crime and Justice Research (SCCJR), Theories and causes of crime, Glasgow, 2016, p. 4, available at: https://bit.ly/3KXkkwX, accessed on: 19.04.2022.

42 Ibid.

43 Ibid.

44 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

45 იქვე.

ჯოკ იანგი (Jock Young), „მემარცხენე რეალიზმის“ და კრიტიკული სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, „წნეხის თეორიის“ ჩარჩოს გამოყენებით მიუთითებდა, რომ კეთილდღეობის სისტემების რღვევამ და მდიდრებსა და ღარიბებს შორის მუდმივად მზარდმა უთანასწორობამ, ჩაგრული ჯგუფების გარიყვას შეუწყო ხელი.[46] ეს პროცესი კულტურული ინკლუზიის პარალელურად წარიმართა.[47] თანამედროვე სამომხმარებლო კაპიტალიზმი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მატერიალურ წარმატებაზე, რაც ამძაფრებს ნაკლებად წარმატებულთა გამოცდილებით გამოწვეულ დეპრივაციის განცდებსა და მდგომარეობას.[48]

იანგმა განსაკუთრებული კონტრიბუცია შეიტანა უშუალოდ ნარკოტიკების მოხმარების საკითხის კვლევაშიც. წიგნში “The Drugtakers: The Social Meaning of Drug Use”, ის მიუთითებს, რომ ნარკოტიკების მოხმარების ახსნისთვის „სოციალური პათოლოგიის“ მიდგომის გამოყენება თავად წარმოადგენს სოციალურ რეაქციას ნარკოტიკების მოხმარებაზე და, რომ ეს რეაქცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნარკოტიკების მოხმარების, ნარკოტიკული სუბკულტურების და ნარკოტიკების ეფექტების შესახებ არსებული გამოცდილებების მოდალობების შექმნაში.[49] „პათოლოგიის“ მიდგომა ხასიათდება *„აბსოლუტური მონოლითურობით“ და „უარყოფს იმ ახსნების ავთენტურობას, რასაც ნარკოტიკების მომხმარებლები საკუთარ ქცევას მიაწერენ“.*[50] იანგი სხვადასხვა სოციოლოგის[51] მოსაზრებებისა და თეორიული ჩარჩოების[52] განვრცობით საუბრობდა, თუ როგორ კვებავენ და აძლიერებენ მორალურ ბრაზს (moral indignation)[53] „მორალური ჯვაროსნები“, როგორებიც არიან, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები და მასმედია. იანგის თქმით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამ აქტორების ამგვარი მოქმედების ლოგიკას იდეოლოგიური და კომერციული საფუძვლები აქვს, სადაც ეს აქტორები ცდილობენ, „მორალური კონსენსუსის მცველებად იქცნენ“.[54] მორალური პანიკები გავლენას ახდენს დანაშაულებრივი ქცევების წარმოსახვაზე, აძლიერებს როგორც დევიაციას, ასევე მასზე სადამსჯელო რეაქციას, და აწარმოებს *„სტერეოტიპების ფაქტობრიობაში, ფანტაზიების კი რეალობაში თვითნებური თარგმნის პროცესს“.*[55]

46 SCCJR, Theories and causes of crime, Glasgow, 2016, p. 4.

47 Ibid.

48 Ibid.

49 The Drugtakers: The Social Meaning of Drug Use by Jock Young, Review by: Mary McIntosh, The British Journal of Sociology, Vol. 23, No. 2, 1972, p. 249.

50 Ibid.

51 უმთავრესად, ჰოვარდ ბეკერი (Howard Becker) და ალბერტ კოენი (Albert K. Cohen).

52 უმთავრესად, ეტიკეტირების (Labelling Theory) და წნეხის (Strain Theory) თეორიები.

53 Eugene McLaughlin, See also Young 1971: Marshall McLuhan, moral panics and moral indignation, 2014, p. 3.

54 Ibid.

55 Ibid, p. 5.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორიული ჩარჩო, რომელიც ნარკოდანაშაულის დასახელებულ სოციალურ ფაქტორებს ეხმიანება, „სოციალური დეზორგანიზაციის თეორიაა“ (Social Disorganization Theory). ეს მიდგომა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გარემოზე, რომელიც შესუსტებული სოციალური კავშირებით, კეთილდღეობის არარსებობით და სოციალური სტრუქტურების არასათანადო ფუნქციონირებით ხასიათდება.[56] ამ მდგომარეობას სხვაგვარად *„არაჯანსაღ სოციალურ ეკოსისტემას“* უწოდებენ.[57] „სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის“ პერსპექტივიდან, ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: ფრუსტრაცია, სტრესი, ყოველდღიურობისგან გაქცევის სურვილი, სოციალური სოლიდარობის არარსებობა და ა.შ. – კონკრეტულ საცხოვრებელ არეალებში თავმოყრილი ეს სხვადასხვა ფაქტორი დევიანტური ქცევის წარმოშობისთვის ქმნის პირობებს.[58]

არაჯანსაღ სოციალურ ეკოსისტემაზე ყურადღება არის გამახვილებული კრიტიკულ თეორიაშიც (Critical Theory). „სოციალური დეზორგანიზაციის თეორიისგან“ განსხვავებით, რომელიც დანაშაულის პრევენციას უფრო მეტად მორალური ღირებულებების გაზიარებულობასა და სოციალური კავშირების გაძლიერებაში ხედავს, კრიტიკული თეორია მხედველობაში იღებს ეკონომიკურ უთანასწორობას, სხვა ტიპის ჩაგვრებსა და ძალაუფლებრივი დინამიკის საკითხებს.[59] შეიძლება ითქვას, რომ *„დაბალშემოსავლიანი და სხვაგვარად მარგინალიზებული არეალები ხასიათდება თავისთავადი სიტუაციური მოწყვლადობით, რომელიც სოციალური და დემოგრაფიული სიდუხჭირით არის გამოწვეული“.*[60] საკითხის სირთულეზე მიუთითებდნენ კვლევის, „დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა“, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ *„ამ საკითხს კომპლექსური შეფასება სჭირდება, ვინაიდან ნარკოდანაშაულის ამა თუ იმ ტიპის ჩადენა, როგორც წესი, რამდენიმე მიზეზით – ეკონომიკური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალური წრე, განათლების დონე, დასაქმების მდგომარეობა, ოჯახში არსებული ურთიერთობები და სხვ., შეიძლება იყოს განპირობებული“.*[61]

ნარკოტიკულ დანაშაულებთან და მის გამომწვევ მიზეზებთან ბმაში ასევე ყურადსაღებია კულტურის საკითხი და მისი კომპლექსური მახასიათებლები. აქ იგულისხმება კულტურა, არა მხოლოდ, როგორც კაპიტალისტური ლოგიკის არეკვლასა და კვლავწარმოებაში ჩართული ფენომენი, არამედ, ოჯახის შიგნით თუ მის მიღმა არსებული სპეციფიკური ზეგავლენები, რომლებიც უფრო პირდაპირ აყალიბებენ

56 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.
57 იქვე.
58 იქვე, გვ. 61.
59 იქვე, გვ. 34.
60 იქვე.
61 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 242.

ქცევებსა და მიდრეკილებებს.[62] ეს, მათ შორის, მოიცავს სკოლას, მასმედიასა და რელიგიურ ინსტიტუციებსაც. ქცევაზე განსაკუთრებით მძლავრი გავლენით ხასიათდება სანაცნობო გარემო, რომლის ფარგლებშიც ფორმირდება არა მხოლოდ ჯგუფის წევრების რწმენები და ღირებულებები, არამედ *„დანაშაულის ხელო(ვნე)ბის უნარ-ჩვევები".*[63] მაგალითად, ცოდნა, თუ როგორ მოიპოვო და მოიხმარო ნარკოტიკული საშუალებები, როგორც წესი, სხავდასხვა ტიპის სანაცნობო/საახლობლო ჯგუფში დაისწავლება.[64]

ახალგაზრდებში კულტურის მნიშვნელობა დიდია ნარკოტიკული დანაშაულების გავრცელების ანალიზისას. ეს საკითხი მით უფრო აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის „დანაშაულის და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა" მიხედვით, ახალგაზრდები ნარკოდანაშაულის ჩადენის მიმართ ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფია.[65] სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარია ნარკოტიკის მოხმარებაზე, როგორც „ახალგაზრდული კულტურის" ფორმაზე.[66] ახალგაზრდებში ნარკოტიკების ფართოდ გავრცელების ახსნისთვის იშველიებენ „ნარკოტიკული ეპიდემიის თეორიას" (Theory of Drug Epidemics). ეს მიდგომა აქცენტს აკეთებს ახალგაზრდებში ნარკოტიკების გავრცელების რამდენიმე ხელშემწყობ ფაქტორზე: ცოდნა ნარკოტიკული საშუალებისა და მისი ეფექტის შესახებ; ნარკოტიკული საშუალების არსებობა და მარტივად ხელმისაწვდომობა; ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მოტივაცია; ინდივიდების დარწმუნება ნარკოტიკული საშუალების უვნებლობის შესახებ და მისი დამაზიანებელი ეფექტების უარყოფა და დევიანტური ქცევის შემწყნარებლობისთვის მზაობა.[67]

მთლიანობაში, დანაშაულის მიზეზების ძიებაზე ორიენტირებული, გაბატონებული თეორიები, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დეტერმინისტული[68] (უფრო კონკრეტულად კი, ისინი ე.წ. რბილი დეტერმინიზმის ჩარჩოს ქვეშ უნდა მოვაქციოთ).[69] ეს მიდგომები, უფრო მეტად ფოკუსირდება სოციალურ ფაქტორებზე, ვიდრე ბიოლოგიურზე ან ფსიქოლოგიურზე, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო მეტად არის გაკრიტიკებული. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორისტულმა ფსიქოლოგიამ დიდი როლი ითამაშა თანამედროვე პრობაციის სისტემების, მიზნე-

62 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 16.

63 "Arts and crafts of crime", Ibid.

64 Ibid.

65 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 63.

66 იქვე.

67 დეტალურად იხ.: იქვე, გვ. 64.

68 Gordon A. Crews, Determinism, The Encyclopedia of Theoretical Criminology, First Edition, edited by J. Mitchell Miller, 2014, p. 1, available at: https://bit.ly/3JuyS6W, accessed on: 19.04.2022.

69 "Soft Determinism"

ბისა და ფუნქციონირების გზების ჩამოყალიბებაზე.[70] ფსიქოლოგიური მიდგომები აქცენტს აკეთებს უმთავრესად ბავშვობის გამოცდილებაზე, ფიქრებსა თუ გრძნობებზე, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის ფსიქოლოგიაზე (რატომ არ ფიქრობს ზოგიერთი ადამიანი მისი ქცევის შედეგზე; რატომ აქვთ ემპათიის ან მორალური მგრძნობელობის ნაკლებობა; რა როლს თამაშობს სირცხვილის ან დანაშაულის გრძნობა და ა.შ.).[71] აღსანიშნავია, რომ კოგნიტურ-ბიჰევიორისტული მიდგომის გავლენა პრობაციის სისტემებზე დღემდე ცენტრალურია და მისი მოქმედების სტრატეგიებსაც დიდწილად ეს თეორიული ჩარჩო განსაზღვრავს (უფრო დეტალურად ამ მიდგომის და მისი კრიტიკის შესახებ შემდგომ [ქვე]თავებში ვიმსჯელებთ).

2.2. განსხვავებულად დასმული კითხვები

ყველა დეტერმინისტულ მიდგომას აერთიანებს ის ფაქტი, რომ ისინი ორიენტირებულნი არიან დანაშაულის მიზეზებზე. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორის თქმით, *„მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ზოგჯერ კრიმინალურ ქცევას ირჩევენ, ისინი ამას საკუთარი ნებით არ აკეთებენ. ,,არჩევანი“ მათ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ [დანაშაულის] საფუძვლები ამ არჩევანს ახსნადს ხდის. ეს საფუძვლები, რომლებიც სოციალური და ეკონომიკურია, ბოჭავს, ზღუდავს ან ავიწროებს მათ წინაშე არსებულ არჩევანის შესაძლებლობებს. ბევრი ჩვენგანი, მსგავს სიტუაციებში, იმავე გზას გაყვებოდა. მეტიც, თუ ჩვენ გავიგებთ სოციო-ეკონომიკურ გარემოებებსა და კრიმინალურ ქცევას შორის არსებულ ღრმა კავშირებს, შესაძლოა უფრო ეფექტიანი და ადამიანური გზებით მოვახერხოთ დანაშაულის რიცხვის შემცირება“.*[72]

არსებობს თეორიები, რომლებიც საკითხს განსხვავებული პრიზმიდან უყურებენ. მაგალითად, „რაციონალური არჩევანის თეორია“ ეძებს არა დანაშაულის „მიზეზებს“ (causes), არამედ „მიზნებს“ (purposes).[73] ეს თეორია ქცევის ეკონომიკური მოდელის სახელითაც მოიხსენიება.[74] „რაციონალური არჩევანის თეორიის” მიხედვით, ინდივიდი ამა თუ იმ ქცევის არჩევისას, გადაწყვეტილებას იღებს სარგებლისა და დანაკარგის შეწონასწორების საფუძველზე.[75] ერთ-ერთ ამერიკელს, რომელსაც დაუსვეს კითხვა, თუ რატომ ძარცვავდა ბანკებს, შემდეგი სიტყვები მიეწერება: *„იმიტომ, რომ*

70 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 14.

71 Ibid.

72 Ibid, p. 18.

73 Ibid, p. 22.

74 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 55.

75 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 22.

ფული იქ არის".[76] ამ ფრაზას იშველიებენ იმის არგუმენტად, რომ ზოგჯერ დანაშაულის მიზნებში არაფერია ძალზედ მისტიური, მისი მოტივები მარტივი და ცხადია.[77]

რაციონალური არჩევანის თეორიას სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალმხრივი კრიტიკა შეხვდა. ითვლება, რომ ის ფაქტობრივად არ არის დამაჯერებელი სხვადასხვა სახის დევიანტურ ქცევასთან, მაგალითად, ძალადობრივ დანაშაულთან, მიმართებით.[78] ქცევის ეკონომიკური მოდელი არ ითვალისწინებს ემოციის ფაქტორსაც, რასაც, არაერთი კვლევის თანახმად, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.[79] გარდა ამისა, ამ მიდგომის მიხედვით, თუკი დევიანტური ქცევის საპასუხოდ მაღალი „ფასი" იქნება დაწესებული, მას შემაკავებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, „რაციონალური არჩევანის თეორიის" თანახმად, *„სასჯელის მოლოდინი და მასთან დაკავშირებული სტიგმა, ისევე, როგორც სამომავლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის შანსების შემცირება, ქმედებაზე გავლენის მქონე ფაქტორებად განიხილება, რომელიც პირს გადაწყვეტილებას უკანონო ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ მიაღებინებს".*[80] თუმცა, ზოგადად, არსებობს დაშვება, რომ მოსალოდნელი სასჯელის ზომა, დელიქტების უმეტესობის პრევენციაზე დაბალ გავლენას ახდენს.[81] ითვლება, რომ ნორმისადმი მორჩილების თვალსაზრისით უფრო დიდი მნიშვნელობისაა პირის სოციალური მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება ან სხვა ტიპის არაფორმალური სანქცია.[82] ეს ასევე ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციების შემაკავებელი ეფექტი წყვეტს მოქმედებას, *„თუ დევიანტური ქცევა ინდივიდისთვის რელევანტურ სოციალურ გარემოში დადებითად არის შეფასებული".*[83]

კიდევ ერთის, „ეტიკეტირების თეორიის" (Labelling Theory) დაშვებაა, რომ დევიაცია იქმნება სოციალური ჯგუფების მიერ გარკვეული წესების შემოღებით, ამ წესების კონკრეტულ ადამიანებზე მიმართვით და მათი „აუთსაიდერებად" მონიშვნით.[84] სწორედ ამ წესების დარღვევა აყალიბებს დანაშაულს.[85] ჰოვარდ ბეკერი (Howard Becker) მიუთითებდა, რომ დევიაციის განსაზღვრა სინამდვილეში ხდება არა ჩადე-

76 საუბარია უილიამ სატონ უმცროსზე (Willie Sutton, Jr. (1901–80)). Ibid, p. 21.

77 Ibid, p. 22.

78 Ibid.

79 Ibid.

80 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 55.

81 იქვე.

82 იქვე.

83 იქვე.

84 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 20.

85 Ibid.

ნილი ქცევის ხარისხით, არამედ სხვების მხრიდან „დამნაშავეებისადმი“ წესებისა და სანქციების მიმართვის შედეგით.[86] დამნაშავე ისაა, აღნიშნავდა ბეკერი, რომელსაც ეს ეტიკეტი წარმატებით „მიაწებეს“.[87] ქცევა დევიანტურია, თუ ის ხალხმა ასეთად მონიშნა.[88] ყველაზე გავრცელებული აზრით, ძირითადად ასე ხდება ღარიბების, ჩაგრული და მოწყვლადი ჯგუფების კრიმინალიზება.[89] მაგალითად, არაერთი კვლევა ადასტურებს „ნარკოტიკებთან ომის“ სახელით აშშ-ში აფროამერიკელებისა და ლათინოსების არაპროპორციული კრიმინალიზების სისტემურ და განგრძობად ბუნებას.[90] ეტიკეტირების თეორიის გავლენით, ზოგიერთმა მეცნიერმა განავითარა ე.წ. „რადიკალური ჩაურევლობის“ (radical non-intervention) იდეა, რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივ ინტერვენციებს დანაშაულის პრევენციაზე არ აქვს პოზიტიური გავლენა.[91]

ადამიანისთვის „დამნაშავის“ თუ „კრიმინალის“ ეტიკეტის მიწებებას ხანგრძლივი ეფექტები აქვს და საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ შრეში აღწევს. ამ ეტიკეტის მოცილება ხშირად რთულია და გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ სხვები „ეტიკეტირებულს“, არამედ იმაზეც, თუ როგორი აღქმა უყალიბდებათ ამ უკანასკნელთ საკუთარი თავების მიმართ.[92] მაგალითად, სოციოლოგიურმა კვლევამ, „დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა“ გამოავლინა, რომ ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ ადამიანებს განსაკუთრებით უჭირთ რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის პროცესის გავლა, საზოგადოების წევრებთან კონტაქტი და გარემოში ადაპტაცია.[93] ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, *„საპატიმრო გამოვლილი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, დაბალი თვითშეფასებით და გაუცხოების გრძნობით გამოირჩევა“.*[94] დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე დამსაქმებლების მხრიდან დამოკიდებულებაც. კერძოდ, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ *„სამსახურის ძიების პროცესში დამსაქმებელთან კავშირი ხშირ შემთხვევაში მას შემდეგ სრულდება, რაც აპლიკანტს ნასამართლობას აღმოუჩენენ“.*[95]

86 Ibid.

87 Ibid.

88 Ibid.

89 Jeffrey Reiman and Paul Leighton, The Rich Get Richer and the Poor Get Prison: Ideology, Class and Criminal Justice, eleventh edition, Routledge, 2017, p. 135.

90 Ibid.

91 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 21.

92 Ibid, p. 20.

93 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 255.

94 იქვე.

95 იქვე.

კითხვის, „რატომ ჩადიან ადამიანები დანაშაულს“?, განსაკუთრებული სირთულისა და კომპლექსურობის გამო, ზოგიერთმა მეცნიერმა განსხვავებული ფორმულირების შემოტანა სცადა, კერძოდ, „ყველა რატომ არ ჩადის დანაშაულ(ებ)ს?“[96] – ეს გავლენიანი მიდგომა სამეცნიერო ლიტერატურაში „კონტროლის თეორიის“ (Control Theory) სახელით არის ცნობილი, რომელიც, თავის მხრივ, „სოციალური დეზორგანიზაციის თეორიიდან“ იღებს სათავეს.[97] „კონტროლის თეორიის“ მიხედვით, დევიანტური ქცევის არჩადენის ოთხი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: 1) მიჯაჭვულობა (attachment) – ფიქრი იმაზე, თუ რას ფიქრობენ სხვები, განსაკუთრებით კი ახლობელი ადამიანები (მაგალითად, ოჯახი) ჩვენზე და რა გავლენა ექნება ჩვენს ქცევას მათზე; 2) [თავის] მიძღვნა (commitment) – პირად მიზნებში, გეგმებსა თუ საქმიანობაში ჩვენ მიერ ჩადებული ინვესტიცია, არ გვაძლევს მისი გათელვის ან საფრთხის ქვეშ დაყენების უფლებას; 3) ჩართულობა (involvement) – ადამიანთა დიდი ნაწილი (შესაძლოა უმრავლესობაც) იმდენად არის ჩართული კანონიერი ცხოვრების წესში, რომ არ ფიქრობენ დევიანტურ ქცევებზე; 4) რწმენა (belief) – ეს უკანასკნელი მოიცავს მორალური იძულების მექანიზმებს. ზოგიერთი მეცნიერის თქმით, დამნაშავეები მათ განეიტრალებას ცდილობენ.[98]

მთლიანობაში, ითვლება, რომ დასახელებული ფაქტორების შესუსტება ან გაქრობა დანაშაულის ჩადენას უფრო მეტად სავარაუდოს ხდის.[99] გარდა ამისა, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ „კონტროლის თეორიის“ მიერ შემოთავაზებული ფაქტორების, მაგალითად, მიჯაჭვულობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს პრობაციის სამსახურმა და უფრო კონკრეტულად, პრობაციის თანამშრომლის პროფესიულმა დამოკიდებულებამ და ურთიერთობამ პრობაციონერთან.[100]

2.3. „თავშეკავების კვლევების“ ფარგლებში განვითარებული მოსაზრებები

კიდევ ერთი განსხვავებულად დასმული კითხვა, რომელიც უფრო მჭიდროდ და პირდაპირ უკავშირდება პრობაციას, მდგომარეობს შემდეგში: „რა ვითარებაში (შე)წყვეტენ ადამიანები დანაშაულის ჩადენას?“. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობები „თავშეკავების კვლევების“ (desistance studies) ჩა-

96 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 24.

97 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61.

98 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 24.

99 Ibid.

100 Ibid, p. 28.

რჩოს ფარგლებში მიმდინარეობს.[101] „თავშეკავების კვლევებთან“ მჭიდროდ გადაჯაჭვულია ე.წ. ღირსეული (კარგი) ცხოვრების მოდელის (Good Lives Model / GLM) ცნება, რომელიც ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკების შემცირებას უკეთესი ცხოვრების პირობებში ხედავს, სადაც სულ უფრო და უფრო მცირე ადგილი რჩება დევიაციის არსებობისთვის.[102] აღსანიშნავია, რომ თავშეკავების კვლევების თეორიული ჩარჩო აქცენტს აკეთებს არა უბრალოდ იმაზე, თუ რა ცხოვრებისეული პირობები შეუწყობს ხელს დანაშაულის ხელახალი ჩადენის რისკების შემცირებას, არამედ იმ მნიშვნელობებსა და მიმართებებზე, რომლებსაც ინდივიდები ამ შეცვლილ გარემოებებს ანიჭებენ.[103]

„თავშეკავების კვლევების“ ფარგლებში ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ პრედიქტორებს. ამ კუთხით მიმდინარეობდა ყველაზე მეტი და მრავალმხრივი დაკვირვებაც წლების განმავლობაში.[104] ამ მხრივ, უპირველესად სახელდება დასაქმება.[105] გარდა ამისა, ჩატარებულა არაერთი კვლევა იმის დასადგენად, არსებობს თუ არა კავშირი ხელახალი დევიანტური ქცევისგან თავშეკავებასა და ისეთ ცხოვრებისეულ მოვლენებს შორის, როგორებიცაა: ქორწინება, საახლობლო გარემოში (თანატოლებში) ინტეგრაცია, პატიმრობა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება.[106]

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ზოგადი კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ სამსახურეობრივი სტაბილურობა დანაშაულისგან თავშეკავებას განაპირობებს.[107] სხვადასხვა პერიოდში, მარგინალიზებულ მოსახლეობებზე ჩატარებულმა კვლევებმა (მათ შორის, ნარკოტიკების მომხმარებლებზე), გამოავლინა დევიანტური ქცევისგან თავშეკავებასთან არა უბრალოდ სტაბილური და მაღალანაზღაურებადი სამსახურის, არამედ მინიმალური სახელფასო და დასაქმების შესაძლებლობების პოზიტიური კავშირიც კი.[108] მიუხედავად ამ ზოგადი კონსენსუსის არსებობისა, უნდა ითქვას, რომ ცნობილია მეცნიერთა მცირე ნაწილის პოზიცია, რომელიც დასაქმებას განიხილავს არა დევიანტური ქცევისგან თავშეკავების მიზეზად (cause), არამედ მის შედეგად (consequence).[109]

101 Ibid, p. 25.

102 Ibid.

103 Ibid, p. 26.

104 Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 37.

105 Ibid.

106 Ibid, pp. 37-46.

107 Ibid, p. 37.

108 Ibid, pp. 37-38.

109 Ibid, p. 38.

გარდა იმ ფინანსური შესაძლებლობების გაჩენისა, რომელიც ზოგიერთი ტიპის ქცევის შეწყვეტისთვის დიდი მნიშვნელობისაა (მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულები, რომელიც მძიმე სოციო-ეკონომიკური პირობებით არის განპირობებული), მეცნიერთა ერთი ჯგუფის მოსაზრებით, დასაქმება ხელს უშლის ხელახალ დევიანტურ ქცევას სხვა ოთხი პროცესის გამოც: 1) დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სოციალური კაპიტალის ორმხრივი მიმოცვლა; 2) ნაკლები დაქვემდებარება დანაშაულებრივ შესაძლებლობებზე და იმის შემცირებული ალბათობა, რომ *„კრიმინალური მიდრეკილებები ქცევაში ითარგმნება";* 3) პირდაპირი, არაფორმალური სოციალური კონტროლი; და 4) *„თვითმყოფადობის განცდისა და საკუთარი ცხოვრებით ცხოვრების იდეის განვითარება".*[110] როგორც ჩანს, მთლიანობაში, დასაქმება, როგორც „შემობრუნების მომენტი", დაკავშირებული უნდა იყოს სხვა სოციალურ ტრანზიციებთან და ინსტიტუტებთან.[111]

კვლევების უმრავლესობის თანახმად ასევე დასტურდება მნიშვნელოვანი კავშირი ქორწინებასა და ხელახალი დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავებას შორის. ამასთანავე არსებობს ისეთი ემპირიული დაკვირვებებიც, რომლის მიხედვითაც, თავშეკავება წინ უსწრებს ქორწინების ფაქტს.[112] გაბატონებული მოსაზრებით, ქორწინება, ხშირ შემთხვევაში, ამცირებს დევიანტური ქცევისკენ მიდრეკილ საახლობლო/სანაცნობო გარემოში ინტეგრაციას; ის დაკავშირებულია ახალი მეგობრების გაჩენასთან და ოჯახის გაფართოებასთან, ისევე, როგორც ზოგადად რუტინულ საქმიანობებში ცვლილებებთან. მეუღლეები წარმოადგენენ სოციალური კონტროლის დამატებით წყაროს და რუტინული ქცევების მონიტორინგის ეფექტიან „მექანიზმებს" ერთმანეთისთვის; ხშირად ქორწინება ასევე უკავშირდება საცხოვრებელი ადგილის ცვლილებას და ბავშვების ყოლას, რასაც დამატებითი ცვლილებები შეაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგიერთი მეცნიერი ასევე მიუთითებს, რომ ქორწინებამ *„შესაძლოა შეცვალოს პიროვნების თვითაღქმა".*[113] ამასთანავე, არსებობს კვლევები, რომლებიც დევიანტური ქცევის შეწყვეტას კონკრეტულად მშობლად გახდომის ფაქტს უკავშირებენ და არა უბრალოდ ქორწინებას.[114]

არაერთი ემპირიული დაკვირვება მიუთითებს სანაცნობო/საახლობლო გარემოს მნიშვნელობაზე დანაშაულებრივი ქცევის შეწყვეტის კონტექსტში. როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს საკითხი მათ შორის შემოდის ქორწინების და

110 Ibid, p. 39.

111 Ibid.

112 Torkild Hovde Lyngstad and Torbjørn Skardhamar, Changes in Criminal Offending around the Time of Marriage, Journal of Research in Crime and Delinquency, 2013, p. 611.

113 Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 41.

114 Ibid, p. 43.

მასთან დაკავშირებული ცვლილებების განხილვისას.[115] გარდა ამისა, არსებობს ისეთი კვლევებიც კი, რომელიც დასაქმების გავლენის ნაწილშიც, სამუშაოს ხარისხზე მეტად, სამსახურის კონტექსტში წარმოშობილი ურთიერთობების „ხარისხზე" აკეთებს აქცენტს.[116] ერთი დაკვირვების მიხედვით, ასაკის მატებასთან ერთად კრიმინალური მიდრეკილებების შესუსტება სწორედ თანატოლებთან კავშირების ცვლილებით უნდა აიხსნას.[117] ზოგიერთი მიდგომით კი, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სოციალურ ფაქტორებთან (სოციალური კავშირები, პასუხისმგებლობები, ოჯახი, დასაქმება და სხვ.) ერთად, ბიოლოგიური ფაქტორებიც შემოდის.[118]

განსაკუთრებით საინტერესო და დამაფიქრებელია პატიმრობის კავშირი განმეორებითი დანაშაულის ჩადენასთან. კერძოდ, ემპირიული კვლევებისა და მეტაანალიზების უმრავლესობა ადასტურებს, რომ დაპატიმრებას, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ვადას, ან არანაირი, ან უფრო ცუდი ეფექტი აქვს განმეორებითი დანაშაულის ჩადენაზე (ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით, ის ზრდის რეციდივის რისკებს).[119] პატიმრობას შეუძლია დამატებით წაახალისოს დანაშაულებრივი ქცევა *„პატიმრების ფსიქოლოგიური და ემოციური ჯანმრთელობის დაზიანებით",*[120] რაც, მთლიანობაში, პატიმრობის ტრავმატულ გამოცდილებას უკავშირდება.[121] ერთ-ერთი ავტორი ასევე საუბრობს ტერმინ *prisonization*-ზე. ეს გულისხმობს პატიმრობის პროცესს, როდესაც მსჯავრდებულები ითვისებენ ციხეში ყოფნისთვის დამახასიათებელ წესებს, ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც შესაძლოა შეუსაბამო იყოს „გარეთ" ცხოვრებასთან და ხელახალი დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების ძალისხმევები დააბრკოლოს.[122]

დამატებით აღსანიშნავია, რომ კვლევები გამოკვეთს კავშირს ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარებასა და დევიანტური ქცევის ხელმეორედ ჩადენას შორის. ითვლება, რომ ალკოჰოლი და ნარკოტიკები წარმატებული თავშეკავებისა და რეინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის.[123] ამ მიზეზით, ერთ-ერთი ავტორი

115 Ibid, p. 43.

116 Ibid, p. 44.

117 Ibid, p. 43.

118 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 134.

119 Paula Smith, Claire Goggin and Paul Gendreau, The Effects of Prison Sentences and Intermediate Sanctions on Recidivism: General Effects and Individual Differences – 2002-01, Centre for Criminal Justice Studies, University of New Brunswick, 2002, p. 20, available at: https://bit.ly/36g2xCr, accessed on: 19.04.2022.

120 Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 45.

121 Ibid.

122 Ibid.

123 Ibid.

მიუთითებს, რომ *„თავშეკავების შესწავლა თითქმის აუცილებლად გულისხმობს ორივე ტიპის ქცევის (ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარება) აღკვეთის შესწავლასაც“.*[124]

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ „თავშეკავების კვლევებმა“ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კოგნიტური პრედიქტორების კვლევასაც. ანდერსონი და მაკნილი (Anderson and McNeill) გამოყოფენ კოგნიტური ტრანსფორმაციის სამ ტიპს: 1) ცვლილებები ნარატიულ იდენტობაში – მითითებულია, რომ *„დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისთვის, ყოფილმა დამნაშავეებმა უნდა განავითარონ საკუთარი თავის თანმიმდევრული, პროსოციალური იდენტობა“;* „კარგი ქცევისთვის“ საჭიროა საკუთარი თავის ხელახლა აღმოჩენის, „თვით-რეკონსტრუქციის“ პროცესი.[125] ეს ასევე გულისხმობს იმის გააზრებას, რატომ ჩაიდინა ინდივიდმა წარსული დანაშაულები, და იმ მიზეზების ძიებას, თუ რატომ უნდა მივიდეს ის მისი შეწყვეტის გადაწყვეტილებამდე.[126] საკუთარი ამბებისა თუ ნარატივების (self-stories) კონსტრუირება, დეკონსტრუქცია და რეკონსტრუქცია, ტრადიციულად ცენტრალურ როლს იკავებდა სისხლისსამართლებრივი ინტერვენციების პროცესში (მიუხედავად მის მიმართ არსებული კრიტიკისა);[127] 2) ცვლილებები აზროვნების შინაარსში (content of cognitions) – ეს გულისხმობს რყევებს პრო-კრიმინალურ მიდრეკილებებში, კრიმინალურ ქცევასთან დაკავშირებულ ემოციებს, მოტივაციასა და იმედს; 3) კოგნიტური უნარ-ჩვევების ტრანსფორმაცია (როგორიცაა, მაგალითად, ცვლილებები თვით-კონტროლში ან კოგნიტურ სტრატეგიებში).[128] მთლიანობაში, კოგნიტური პრედიქტორების კვლევა მოიაზრებს იმის ფუნდამენტურ დაშვებას, რომ დამნაშავეებს აქვთ თავისუფალი ნება და ისინი საკუთარი ცხოვრებისეული გზის განმსაზღვრელებად რჩებიან. მაშასადამე, ეს ნიშნავს ადამიანის აგენტობის (human agency) აღიარებას.[129]

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ „თავშეკავების კვლევები“ დევიანტური ქცევის შეწყვეტას კომპლექსურად ხედავს და მას პიროვნული და სოციალური ტრანსფორმაციის განსხვავებულ ეტაპებს უკავშირებს. „თავშეკავების კვლევების“ ფარგლებში, სოციალური პრედიქტორების სტრუქტურულ შინაარსზე აქცენტის გაკეთებით, პრინციპულად არასწორად ცხადდება კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანების „მორალურ უცხოებად“ მონიშვნა.[130] „კარგი ცხოვრების“ ელემენტებზე რეფლექსია

124 Ibid.

125 Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 48.

126 Ibid.

127 Ibid, p. 49.

128 Ibid, p. 46.

129 Ibid.

130 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 135.

გვახსენებს, რომ პიროვნული ცვლილებები დამოკიდებულია არა უბრალოდ ინდივიდუალურ ძალისხმევებზე, არამედ სოციალურ კაპიტალზე, თანაბარ შესაძლებლობებზე და სამართლიან გარემოზე.[131] შესაბამისად, განვითარებული მსჯელობები უფრო ფართო სოციო-ეკონომიკური ფაქტორების მხედველობაში მიღებას და სტრუქტურული ჩაგვრის მრავალმხრივ კრიტიკას მოიცავს. ეს კი, პრობაციის სისტემების მუშაობის კონტექსტში, მისი გარკვეულწილად ლიმიტირებული ბუნების აღიარებას გულისხმობს.[132]

131 Ibid, p. 146.

132 Ibid.

III. როგორია პრობაციის სისტემის როლი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის აღკვეთის პროცესში?

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, კოგნიტურ-ბიჰევიორისტულმა მიდგომამ (რომელიც ბიჰევიორიზმისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის სინთეზს წარმოადგენს) განმსაზღვრელი ადგილი დაიკავა პრობაციის სისტემების ფუნქციონირებაში (თუმცა, ამ მიდგომის პრინციპული დაშვებები 1970-იანი წლებიდან გამოიყენებოდა).[133] ეს მიდგომა უარყოფს „იდუმალი მენტალური კონსტრუქტების“ კვლევას და აქცენტს აკეთებს აშკარა და დაკვირვებადი ქცევების შესწავლაზე.[134]

(და)სწავლა კოგნიტურ-ბიჰევიორისტული მიდგომის ცენტრალური კომპონენტია. მისი დაშვებაა, რომ თუ განსხვავებულად მოქცევა და ფიქრი დასწავლადია, მაშინ ცვლილების მიღწევა შესაძლებელია სწავლის სხვადასხვაგვარი პროცესით, მათ შორის ნეგატიური სწავლებით (ე.წ. ‘unlearning’), ე.ი. არასასურველი ქცევითი და აზრობრივი პატერნების უარყოფით.[135] მკურნალობის ზოგიერთი მოდელისგან განსხვავებით, პრობაციული ჩარევა (probation intervention) შეიძლება განიმარტოს, როგორც საგანმანათლებლო ძალისხმევა, რომლის მიზანია, ადამიანებმა ისწავლონ აზროვნებისა და ქცევის ახალი გზები და გააფართოვონ გადაწყვეტილებების მიღების უნარები.[136]

კოგნიტურ-ბიჰევიორისტული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს იმ მნიშვნელობებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც ადამიანები საკუთარი ან სხვების ქცევის შედეგს და მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებს მიაწერენ.[137] ეს ერთგვარად პერსონალური სქემების შესწავლას გულისხმობს.[138] აზროვნების მოდელები და ჩვევები გავლენას ახდენს ქცევაზე. მაგალითად, მოძალადე სხვა ადამიანთან ინტერაქციას ხშირად იმ ტიპის სააზროვნო ჩარჩოში განიხილავს, რომელიც ძალადობას უფრო მოსალოდნელს ხდის.[139] ამ გაგებით, კოგნიტურ-ბიჰევიორისტული მიდგომა იკვლევს, თუ სად და რა ვითარებაში არის დამაზიანებელი სხვადასხვა ტიპის სააზროვნო მოდელები და სქემები; აღიარებს აზრების, ემოციების (გრძნობების) და ქცევის ურთიერთდამოკიდებულებას; ამტკიცებს, რომ ადამიანები სხვადასხვა სოციალურ მოცემულობაში

133 Ibid, p. 115.
134 Ibid.
135 Ibid, p. 116.
136 Ibid.
137 Ibid.
138 Ibid.
139 Ibid.

განსხვავებულად იქცევიან, და რომ გზები, რომლითაც ისინი ამ ყველაფერზე რეაგირებენ, ცვლილებას ექვემდებარება.[140]

კოგნიტურ-ბიჰევიორისტულმა მიდგომამ საფუძველი დაუდო პრობაციის სისტემებში „რისკის, საჭიროებისა და მგრძნობელობის" („რსმ") მოდელის ჩამოყალიბებას ('Risk, Need and Responsivity' (RNR)). ეს მოდელი დღესდღეობით დომინანტურია მსოფლიოს მასშტაბით და დიდწილად მასვე ეფუძნება „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები პრობაციის წესების თაობაზე". ამასთან, „რსმ"-ის მოდელი ჰიბრიდულია იმ გაგებით, რომ ის მოიცავს, როგორც აღსრულების/კონტროლის (სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობების მონიტორინგი), ასევე სოციალური მუშაობის ელემენტებს.[141]

რისკის კომპონენტის მიხედვით, რაც უფრო მაღალია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი, მით უფრო ინტენსიური და გაფართოებული უნდა იყოს კონტროლის მექანიზმები.[142] რისკების შეფასება და მენეჯმენტი განსხვავებული გზებით ხორციელდება. ის შეიძლება მოიცავდეს ინდივიდების შეფასებას „საშიშროების" ცნების ფარგლებში, რომელიც, ტრადიციულად, ეფუძნებოდა სელექციას დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.[143] ეს მიდგომა განსაკუთრებით კრიტიკდება მისი მანიპულაციურობისა და ძალაუფლებრივ სტრუქტურებზე დაქვემდებარებულობის გამო.[144] ამის საპირისპიროდ, სხვა მიდგომით, რისკების შეფასება მთლიანად ინდივიდუალიზებულია (ე.წ. person-by-person assessment).[145] ის სრულად მინდობილია პრობაციის ოფიცრის უნარებს, გამოცდილებასა და პიროვნულ „დიაგნოსტირებას", რაც, თავის მხრივ, არასისტემურობის, მიკერძოების, შეცდომებისა და დისკრიმინაციის ფართო ველს აჩენს.[146] კიდევ ერთ მოდელს ე.წ. „სადაზღვევო" მიდგომა (actuarial assessment) წარმოადგენს, რომლის მიზანსაც სხვადასხვა შეფასების ინსტრუმენტების, ფორმებისა და გზამკვლევების გამოყენებით დანაშაულთან დაკავშირებული ცვლადების გამოკვეთა, ხელახალი დანაშაულის ჩადენის რისკების ამ გზით შეფასება და დაზღვევა წარმოადგენს.[147] „სადაზღვევო" მიდგომა, ძირითადად, ეყრდნობა OGRS-ის მეთოდს (Offender Group Reconviction Scale), რომლის მეშვეობითაც გროვდება ინფორმაცია შემდეგ ცვლადებზე: ასაკი, გენდერი, დანაშაულის ტიპი, 21 წლამდე ასაკის პერიოდში საპატიმრო სასჯელების ოდენობა, წინა მსჯავრდებების

140 Ibid, p. 117.

141 Faye S. Taxman and Stephanie Maass, What Are the Costs and Benefits of Probation?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 180.

142 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 118.

143 Ibid, p. 151.

144 Ibid.

145 Ibid, p. 154.

146 Ibid.

147 Ibid.

რაოდენობა და პირველი მსჯავრდების ასაკი.[148] OGRS-ის მეთოდის ეფექტიანობის თაობაზე არსებული დასაბუთებული კრიტიკის გათვალისწინებით,[149] განვითარდა უფრო კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი მიდგომა, „სამართალდამრღვევის შეფასების სისტემა“ (OASys – Offender Assessment System), რომელსაც წინამდებარე კვლევის მეხუთე თავში („პრობაციის თანამედროვე გაგება და ჰოლისტური მიდგომები“) დეტალურად განვიხილავთ.

თუ პირველი კომპონენტის მიზანი რისკ ჯგუფების გამოკვეთაა, „საჭიროების“ ელემენტი იკვლევს დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ ფაქტორებს. ეს ცნობილია, როგორც *კრიმინოგენული საჭიროებები* (რაც დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს ნიშნავს).[150] „რსმ“-ის ჩარჩოს ფარგლებში ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ფაქტორების გამოკვლევა: კრიმინალური მიდრეკილებები *(„კრიმინალური ქცევის წამახალისებელი აზრები, ღირებულებები და სენტიმენტები“);* ანტისოციალური თვისებები; კრიმინალური გარემოცვა; სოციალური მიღწევები (განათლება, დასაქმება); ოჯახური სტატუსი (მათ შორის ოჯახური არასტაბილურობა და მშობლობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები); ალკოჰოლის/ნარკოტიკების მოხმარება; და რეკრეაცია (პროსოციალური აქტივობების ნაკლებობა).[151]

ეს ფაქტორები მარტივად გამოსაკვეთი არ არის, დამოკიდებულია პრობაციის სამსახურის თანამშრომლების ძალისხმევაზე, საგულდაგულო და ხანგრძლივ მუშაობასა და უნარ-ჩვევებზე. იმის გამო, რომ კრიმინოგენული საჭიროებები დაკავშირებულია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენასთან, არის მიმდინარე, და, პრინციპულად, მათი „გადალახვა“ შესაძლებელია, მას ასევე დინამიკურ რისკფაქტორებს უწოდებენ.[152] მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა შესაძლოა გამოსადეგი იყოს რისკების ეფექტიანი მენეჯმენტისთვის, აუცილებელია, არ გამოგვრჩეს საჭიროებების რისკებად თარგმნის პოლიტიკური და ეთიკური განზომილებები (და მისი საფრთხეები). სიღარიბე, დაუსაქმებლობა, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, ღირსეული საცხოვრისის ქონისა თუ ფინანსური პრობლემები, გამოკვეთს კავშირებს სოციალურ ექსკლუზიასა და დანაშაულის ჩადენას შორის. მათი ინდივიდუალურ დონეზე განხილვა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ლოგიკის ქვეშ მოქცევა კი სოციალურ ექსკლუზიას მხოლოდ გაამძაფრებს. ზოგადად, „საჭიროების რისკად“ ტრანსფორმაციის შედეგი ის არის, რომ ყველაზე მეტად ვისაც უჭირს, ის ყველაზე უფრო სარისკოდ

148 Ibid, p. 179.

149 Ibid, p. 180.

150 Ibid, p. 119.

151 Ibid.

152 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 15.

განისაზღვრება, აგრესიული სასჯელების ობიექტი ხდება და მისი სოციალური ექსკლუზია მძაფრდება.[153]

ამგვარად, პრობაციის სამსახურის მუშაობის ეთიკური ასპექტიც სისხლის სამართლის სისტემაში ფართოდ არის დასანახი. როგორც დანაშაულის კონტროლის სააგენტო, პრობაციის სამსახური, შესაძლოა ფოკუსირდებოდეს დინამიკურ რისკ-ფაქტორებზე, მაგრამ, როგორც სააგენტო, რომელიც სამართლიანობისთვის იღწვის, საჭიროებებს *საჭიროებებად (needs)* უნდა უყურებდეს.[154] მაგალითად, ჯანმრთელობის ადეკვატურ დაცვაზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დანაშაულის ხელმეორედ ჩადენაში მის გავლენაზე, არამედ თავისთავად ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს.[155] პრობაციის სისტემის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ის არის, რომ იგი უნდა ებრძოდეს სოციალურ ექსკლუზიას ამ უკანასკნელის უსამართლობის, და არა მხოლოდ დანაშაულის კვლავ ჩადენაზე მისი შესაძლო ეფექტების გამო.[156]

„რსმ"-ის მოდელის მესამე კომპონენტი, „მგრძნობელობა" (responsivity), გულისხმობს, რომ *„სამართალდამრღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინტერვენცია, პროგრამა და აქტივობა უნდა იყოს მონაწილეობითი, ახალისებდეს სრულფასოვან ჩართულობას და მხედველობაში იღებდეს თვითმყოფადობისა (identity) და მრავალფეროვნების (diversity) საკითხებს".*[157] ეს კომპონენტი ადგენს, რომ ვერც ერთი მიდგომა ეფექტიანი ვერ იქნება ყველა ადამიანზე, და რომ ადამიანების საჭიროებებზე მუშაობის საუკეთესო გზა მათთან ინდივიდუალურ, პირისპირ შეფასებებზე გადის.[158] გარდა ამისა, ზოგიერთი ავტორი, თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების მხარდაჭერაზე საუბრისას, მგრძნობელობის უფრო ფართო კონცეფციაზე აკეთებს აქცენტს; კერძოდ, ისეთი საკითხების მნიშვნელობაზე, როგორებიცაა: კულტურა, გენდერი ან ნებისმიერი სხვა რამ, რომელთა მხედველობაში მიღებაც შესაძლოა საჭირო იყოს სერვისების ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.[159]

„რსმ"-ის ამ სამი განმსაზღვრელი პრინციპის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია ეფექტიანი პროგრამების სხვა მახასიათებლებზეც, კერძოდ: პიროვნების პატივისცემა (პრაქტიკა უნდა იყოს სამართლიანი, ჰუმანური, ღირსეული და პროფესიონალური); თემზე დაფუძნებულობა (საზოგადოებაში/თემ-

153 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 121.

154 Ibid, p. 122.

155 Ibid.

156 Ibid.

157 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 15.

158 Ibid.

159 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 122.

ში განხორციელებული პროგრამები უფრო ეფექტიანად ითვლება, ვიდრე ციხეში); მულტი-მოდალურობა; სტრუქტურირებულ შეფასებით სქემებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობა; პროგრამების მთლიანობა, სიმყარე.[160]

სამეცნიერო ლიტერატურაში „რსმ"-ის მოდელის კრიტიკული ანალიზი ძირითადად „თავშეკავების კვლევების" ჩარჩოში განვითარდა, რის შედეგადაც შეგვიძლია ვისაუბროთ შემდეგ საკითხებზე (რომლებსაც, „რსმ"-ის ფარგლებში, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა):

სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა – ფსიქოლოგიური ინტერვენციები/პროგრამები არ შეიძლება იყოს საკმარისი სოციალური ინკლუზიისა და იმ რესურსებზე სამართლიანი შესაძლებლობების გაჩენის გარეშე, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობისთვის „კარგი ცხოვრების" უზრუნველსაყოფად ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს.

ყურადღება სამართალდამრღვევების პირად წარმოდგენებზე – ეს გულისხმობს იმ ფაქტორების მხედველობაში მიღებას, თუ რას ფიქრობენ თავად ისინი; რა უწყობს ან უშლის ხელს მათი აზრით დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას; და რა ტიპის გამოცდილებებს აფასებენ მეტად ან ნაკლებად ღირებულად პრობაციის სამსახურთან შეხებისას. იმის გათვალისწინებით, რომ „თვითაღქმა" და „ნარატივის" შექმნა დანაშაულის კვლავ განმეორებისგან მდგრადი თავშეკავების ცენტრალური კომპონენტია, სამართალდამრღვევთა აღქმები უნდა გახდეს ცვლილებების ხელშეწყობის პროცესის საწყისი წერტილი და მთავარი ფოკუსი.

მახვილის დასმა სიძლიერეებზე – „რსმ" კონცენტრირდება სისუსტეებზე (shortcomings), კერძოდ კი კოგნიტურ გამოწვევებზე, რისკებსა და საჭიროებებზე. „თავშეკავების კვლევებმა" განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სიძლიერეებსა და პოტენციალს, სერიოზულად მიუდგა ადამიანების პირად მიზნებსა და ამბიციებს. პოზიტიური მიზნები – საკითხები, რომლისთვისაც იბრძვი, ბევრად უფრო მყარ მოტივაციას აყალიბებს, ვიდრე ისეთი მიზნები, რომლებიც რაიმეს თავიდან არიდებაზეა მიმართული.

და ბოლოს, კრიტიკული ანალიზი ყურადღებას ამახვილებს *ურთიერთობების მნიშვნელობაზე.* პრობაციონერები ხშირად საუბრობენ პრობაციის ოფიცრების მხრიდან გამოვლენილი იმ პრაქტიკული დახმარების როლზე, რომელმაც მათ ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენისგან თავშეკავების დამაბრკოლებელი გარემოებების იდენტიფიცირებასა და გადაჭრაში. ამასთანავე, ისინი განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამენ თანამშრომლობისა და თანასწორი მონაწილეობის სიმწირეზე.[161]

160 Ibid, pp. 122-123.

161 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, pp. 25-26.

მთლიანობაში, „თავშეკავების კვლევებში“ ხაზგასმულია ცხოვრებაზე, როგორც პროცესზე, *„სადაც დანაშაულის ადგილი არ არის“.*[162] ეს გულისხმობს მოტივაციის, უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების გაჩენას, რაც ვერ მიიღწევა მხოლოდ ქცევითი პროგრამების გზით.[163] აღნიშნული, მათ შორის იმასაც ნიშნავს, რომ პრობაციის სისტემების ფუნქციონირების ჩარჩო არ შეიძლება დაიყვანებოდეს მარტოოდენ სისხლისსამართლებრივ მექანიზმებამდე.[164] მოტივაცია, უნარები და შესაძლებლობები ის სამი პარადიგმატული კომპონენტია, რომელთა ერთობლიობაში განხილვა აირეკლავს „სტრუქტურის“ და „აგენტობის“ მნიშვნელობების თაობაზე განსხვავებული თეორიული ჩარჩოების დაშვებებს. ამ სამი კომპონენტის ერთობლიობაში განხილვის მიზანია, უარყოს დევიანტური ქცევის სრულად დეტერმინისტული ბუნება (აგენტობის, ადამიანური კაპიტალის, მოტივაციისა და უნარების მხედველობაში მიღებით), და ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სტრუქტურულ მიზეზებს (სოციალური კაპიტალი, თანასწორი და სამართლიანი შესაძლებლობები, რესურსები).[165] „რსმ“-ის კლასიკური, კოგნიტურ-ბიჰევიორისტული გაგების კრიტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ამ ჩარჩოს, პრობაციის *პრო-სოციალურ მოდელსაც* უწოდებენ.[166]

ამ საკითხზე არსებული რეფლექსიების შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ პიროვნული ცვლილებები დამოკიდებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ ძალისხმევებზე, არამედ სოციალურ კაპიტალზე, სოციალური ინკლუზიისთვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობაზე და ნამდვილ, ხელშესახებ შესაძლებლობებზე.[167] წარმატებული რეინტეგრაციის პროცესი გულისხმობს, როგორც მოტივირებულ ინდივიდს, ასევე საზოგადოების მზაობას და რწმენას, რომ ცვლილება შესაძლებელია.[168] გარდა ამისა, ის მოითხოვს ყოფილი სამართალდამრღვევების ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემას.[169]

დანაშაულის საწყისები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სოციალურ წესრიგთან და, ბუნებრივია, მასზე პასუხიც ვერ იქნება დაყრდნობილი მარტოოდენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მექანიზმებზე.[170] მეტიც, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკა, საუკეთესო შემთხვევაში, განხილული უნდა იყოს, როგორც სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი შრე, და არა ინდივიდუალური დანაშაულების საპასუხო განცალკევებული და დეკონტექსტუალიზებული მოვლენა.[171] პრობაციის

162 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 130.

163 Ibid.

164 Ibid, p. 129.

165 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in Probation – 12 Essential Questions, edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 30.

166 Ibid, p. 17.

167 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 146.

168 Ibid.

169 Ibid.

170 Ibid.

171 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 18.

სისტემას ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი როლი აქვს. მართალია, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა დიდწილად დამოკიდებულია უფრო ფართო სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებზე, თუმცა პრობაციის როლი არსებითია ადვოკატირების, ასევე სოციალური ინკლუზიის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის პროცესში აქტიური ჩართულობის თვალსაზრისით.[172] გარდა ამისა, პრობაციის სამსახურის თანამშრომლებს შეუძლიათ უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიონ ის არეალები და სამეზობლოები, რომლებშიც სამართალდამრღვევებს უწევთ ცხოვრება, შეისწავლონ პრობლემები და შესაძლებლობები, რაც პრობაციონერებს აერთიანებთ და უბრალოდ ინდივიდუალურ მახასიათებლებზე არ კონცენტრირდნენ.[173]

შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ პრობაციის სამსახურის მხრიდან სოციალური კრიტიკის წარმოება მნიშვნელოვანი და აუცილებელი ელემენტია, თუმცა „აგენტობის“ (როგორ ფიქრობენ, წყვეტენ ან მოქმედებენ ინდივიდები) და „სტრუქტურის“ ხისტი გამიჯვნის და რომელიმესთვის უპირობო პრიორიტეტის მინიჭების აუცილებლობა არ დგას.[174] ავტორები საუბრობენ დანაშაულის შეწყვეტის სოციალურ და სუბიექტურ ახსნებზე. მკაცრად სუბიექტური მოდელი (strong subjective model) აქცენტს აკეთებს ადამიანის ინდივიდუალურ მოტივაციასა და სურვილზე; მკაცრად სოციალური მოდელისთვის (strong social model) განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორებია; ხოლო მესამე, ე.წ. სუბიექტურ-სოციალური მოდელი (subjective-social model) ამტკიცებს, რომ ცხოვრებისეული მოვლენები და სოციალური წესრიგი დიდ როლს თამაშობს დევიანტური ქცევის შეწყვეტაში, თუმცა, საბოლოოდ, ამ მოვლენების გავლენის მასშტაბები და მნიშვნელობა ინდივიდთა გონებაში აირეკლება და გარკვეულწილად მასზეა დამოკიდებული.[175] პრობაციის მიდგომები არ შეიძლება დაეფუძნოს სრულად სუბიექტურ მოდელს, რადგან დანაშაულის გამომწვევი მიზეზების თაობაზე არსებული ემპირიული და თეორიული დაკვირვებები, ასევე „თავშეკავების კვლევების“ ფარგლებში დაგროვებული ცოდნა, აშკარად და არაორაზროვნად მიუთითებს სოციალური ფაქტორების განმსაზღვრელ ბუნებაზე. თუმცა, პრობაციის სისტემა ვერც პოზიტივისტური თეორიების სრულად დეტერმინისტულ ხედვას გაიზიარებს, რადგან ამ შემთხვევაში აღარ დარჩება ადგილი ადამიანის ქცევაში არჩევანის მომენტის დანახვისთვის.[176] ეს კი შეუთავსებელია თავად პრობაციის სისტემის იდეასთან, რადგან მას *„ადამიანის შეცვლის შესაძლებლობის სჯერა“.*[177]

172 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 146.

173 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 18.

174 Ibid, p. 19.

175 Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 50.

176 Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in Probation – 12 Essential Questions, edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016, p. 19.

177 Ibid, p. 19.

IV. ნარკოდანაშაულის პრევენციის მექანიზმები

ნარკოტიკული დანაშაულები, გავრცელების თვალსაზრისით, საქართველოში ერთ-ერთი პირველია ეკონომიკურ დანაშაულებთან ერთად. 2010 წლიდან მოყოლებული, ნარკოდანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულთა წილი, საშუალოდ, 20%-დან 40%-მდე მერყეობს.[178] 2021 წლის მონაცემებით, „ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღებისთვის", მსჯავრდებულთა რაოდენობა, ქურდობის შემდეგ, ყველაზე მაღალი იყო.[179]

ნარკოტიკების ავადმოხმარებით გამოწვეული სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება მოხმარების პრევენციას ეთმობა. ტრადიციულად, ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია სამი განსხვავებული პრიზმიდან განიხილება: მიწოდების შემცირება, მოთხოვნის შემცირება და ზიანის შემცირება.[180] ამასთან, ეს მიდგომები მიემართება სხვა ტიპის ნარკოტიკულ დანაშაულებსაც.

მიწოდების შემცირების მიდგომა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალებების სისხლისსამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმას. მისი მიზანია, ნარკოტიკების მოხმარების, ფლობის, გავრცელებისა თუ სხვა ქმედებების აკრძალვით, მისთვის სასჯელების დაწესებით და მკაცრი კანონმდებლობის ჩამოყალიბებით შეამციროს მოხმარების იმპულსები.[181]

მოთხოვნის შემცირება ნიშნავს *„პრევენციის ხელშეწყობას განათლების, ემოციური განვითარების, მორალური ზრდისა და ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აქტივობის მეშვეობით".*[182] მოთხოვნის შემცირების ფარგლებში პრევენციის სამ შრეს გამოყოფენ. ესენია: პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენცია. პირველადი პრევენცია ცდილობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარება წინასწარ განჭვრიტოს, გამოყოს რისკჯგუფები და უმთავრესად საგანმანათლებლო მექანიზმებით მოახდინოს მოხმარების პრევენცია.[183] მეორადი პრევენცია ორიენტირებულია უკვე დაწყებული მოხმარების შეჩერებაზე (არადამოკიდებული მომხმარებლები), რა მიზნითაც საგანმანათლებლო და სოციალურ მექანიზმებთან ერთად სხვადასხვა ტიპის

178 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 54.

179 მსჯავრდებულთა რიცხოვნობა დანაშაულის სახეების მიხედვით 2021 წელს, ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://bit.ly/3D2DAqa, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

180 დერილ ს. ინაბა და უილიამ ე. კოენი, ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები (ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები), მერვე გამოცემა, მთარგმნელები: მაკა ჩხეიძე, ქეთევან თოდაძე და სხვები, 2017, გვ. 241.

181 იქვე, გვ. 250.

182 იქვე, გვ. 241.

183 იქვე, გვ. 252.

საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ინტერვენციები გამოიყენება.[184] რაც შეეხება მესამეულ პრევენციას, ის ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებთან მუშაობას გულისხმობს კომპულსური მოხმარების შეწყვეტაზე რეციდივის პრევენციის სტრატეგიებით (ჯგუფური ინტერვენციები, საოჯახო თერაპია, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება, ფარმაკოლოგიური სტრატეგიები და სხვ.).[185]

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის მესამე მიდგომა ზიანის შემცირებაა. ეს იმ ტიპის სტრატეგიაა, რომელიც *„ადამიანების აღდგენა-გამოჯანმრთელების პროცესში ჩართვის და შენარჩუნების სირთულეს უდგება ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური და პირადი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანის ტექნიკებით, და არ ისახავს თავშეკავებას პირველად მიზნად“.*[186] ზიანის შემცირების მექანიზმებად შეიძლება განიხილებოდეს სუფთა ნემსების მიწოდება, არალეგალური ნივთიერებების ლეგალურით ჩანაცვლების სერვისები, დამოკიდებულების მკურნალობა ჩვევის მართვად დონემდე შესამცირებლად, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაცია ან ლეგალიზაცია და სხვა.[187] მთლიანობაში, ზიანის შემცირების სტრატეგიები გარკვეულ დონეზე დასაშვებად მიიჩნევს ექსპერიმენტულ ან სოციალურ მოხმარებას, თუმცა ებრძვის ნარკოტიკების ავადმოხმარებისგან მომდინარე ზიანს და ცდილობს მის მინიმალიზებას.

ზოგადად, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ქმედება, როგორებიცაა: მოხმარება, ფლობა, დამზადება, ყიდვა, გასაღება თუ სხვა, განსხვავებულ სანქციებთან და სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის ზომებთან არის დაკავშირებული. ნარკოდანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის რეპრესიული მექანიზმები დიდი ხნის განმავლობაში წამყვანი იყო და დიდწილად ეყრდნობოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1961 წლის კონვეციას ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ.[188] უნდა ითქვას, რომ ნარკოტიკების მოხმარების ნაწილში, კონვეცია პირდაპირ არ მოითხოვს მის კრიმინალიზებას, თუმცა *„ნარკოტიკული საშუალებებიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრის მთავარ გზად [მაინც] რეპრესიულ ინსტრუმენტებს სახავს“.*[189]

აღნიშნული მიდგომა ეჭვქვეშ დააყენა თავად „გაეროს“ გენერალური მდივნის განცხადებამ, რომელმაც ნარკოტიკული საშუალებების მიმართ რეპრესიული მექანიზმებით ბრძოლა წარუმატებლად მიიჩნია და ნარკოტიკების პირადი მოხმარების დეკ-

184 იქვე, გვ. 254.
185 იქვე, გვ. 254-255.
186 იქვე, გვ. 255.
187 იქვე.
188 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52.
189 იქვე.

რიმინალიზების აუცილებლობის საკითხი წამოჭრა.[190] მისივე თქმით, *„ნარკოტიკებმა ბევრი ადამიანი გაანადგურა, თუმცა ხელისუფალთა მკაცრმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო მეტი ტანჯვა გამოიწვია“.*[191] რეპრესიულობა (The Punitive Turn) ერთი მხრივ, დაკავშირებულია პატიმრების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან, მეორე მხრივ, პატიმრის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნებიდან რადიკალურ გადახვევასთან, როცა ინდივიდის „გაუნებელყოფა“ მისთვის თავისუფლების აღკვეთით ხდება.[192]

საქართველოში არსებული გამოცდილებიდან, რეპრესიული ნარკოპოლიტიკის კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წლიდან დაწყებული „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“, რომელმაც მათ შორის, ნარკოტიკების მომხმარებლებთან მიმართებით, უმძიმესი სასჯელების გამოყენების პრაქტიკა დანერგა.[193] მკაცრი და დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის მიუხედავად, ითვლება, რომ საქართველოში იმ წლებში ნარკოტიკების მომხმარებელეთა საერთო რიცხვი არ შემცირებულა.[194] მეტიც, *„ზოგიერთი მონაცემის თანახმად, პრობლემური, ანუ მაღალი რისკის შემცველი ნარკომოხმარების ფაქტებმა იმატა, და ასეთი ადამიანების რაოდენობა, 2009 წლიდან 2017 წლამდე, 40,000-დან 52,500-მდე გაიზარდა“.*[195] საქართველოში, სისხლის სამართლის პოლიტიკა, ტრადიციულად, „მკაცრი“ და „რბილი“ სადამსჯელო მექანიზმების ოპოზიციას ეფუძნება.[196] ნარკოპოლიტიკის სფეროში, მკაცრი სასჯელი დანაშაულის პრევენციის ყველაზე ქმედით მექანიზმად არის მიჩნეული. ეს დაშვება, თავის მხრივ, ეყრდნობა ე.წ. „გამოსწორების“ მიდგომას (correctionalism), რითაც გამოტოვებს ნარკოპოლიტიკისა და ნარკოტიკების მომხმარებლების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მახასიათებლებს. მკაცრ სისხლისსამართლებრივ სასჯელზე ორიენტირებული მიდგომები არც ზრუნვაზე, ზიანის შემცირებასა და მკურნალობაზეა ორიენტირებული და არც იმ ფაქტორებს ითვალისწინებს, რაც ხელს უწყობს ან პროვოცირებას უწევს ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენას.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები ზოგადად არანაირ გავლენას არ ახდენს სხვადასხვა ტიპის ნარკოდანაშაულის პრევენციაზე. რიგ შემთხვევებში ის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმიც შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ერთი მხრივ, მოხმარება და მოხმარების მიზანთან დაკავშირებული ქმედებები, მეორე მხრივ

190 იქვე, გვ. 53.

191 იქვე.

192 იქვე, გვ. 65.

193 სამაგალითო დასჯა – საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, Human Rights Watch, 2018, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JYtGro, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

194 იქვე.

195 იქვე.

196 თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

კი, მაგალითად, გასაღება (ამ ნაწილშიც, საკითხი პრინციპულად განსხვავებულად უნდა დაისვას კომერციული მოგების მოტივის არსებობის შემთხვევაში და მისი არარსებობისას). გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადი და სპეციალური პრევენციის საკითხსაც. ზოგადი პრევენცია *„პოტენციური დამნაშავის შეკავებას და ნორმის სიმბოლურ ილუსტრაციას სანქციის დაწესებით ახდენს, (პოზიტიური ზოგადი პრევენცია). სპეციალური პრევენცია კი გამოხატავს კონკრეტული დამნაშავის (მწარმოებელი, გამსაღებელი, მომხმარებელი) შეკავებას შემდგომი დანაშაულების ჩადენისგან“.*[197]

ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯა ზოგადი პრევენციის არგუმენტით გაკრიტიკებულია საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში. ამ საკითხზე პირველი და არსებითად მნიშვნელოვანი განმარტებები სასამართლომ გააკეთა საქმეში „ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების საფუძვლით პირისთვის თავისუფლების აღკვეთის დაკისრება, რაც მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს ემსახურება, აუხსნელი და გაუმართლებელია.[198] ეს ადამიანს ძალაუფლების ობიექტად აქცევს, *„რადგან სასჯელი ლეგიტიმაციას არ იღებს ქმედებისგან, მას არ ამართლებს პირის ქმედებიდან მომდინარე საშიშროება. ამგვარად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდაუვლად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას“.*[199] გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირებისადმი არა სასჯელის დაკისრების, არამედ ზრუნვისა და მხარდაჭერის სერვისების მიწოდების მნიშვნელობაზე. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ *„როდესაც პირი დამოკიდებული ხდება კონკრეტულ ნივთიერებაზე/საშუალებაზე, მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გაუგებარი და გაუმართლებელია“.*[200]

სწორედ ამ გადაწყვეტილების გამოტანით, 2015 წლიდან, ნარკოპოლიტიკის სფეროში გარდატეხები დაიწყო. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა *„მარიხუანის და სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, მოხმარების მიზნით ფლობის, შეძენა-შენახვისა და კულტივაციის საკითხებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით, დაუშვებლად იქნა ცნობილი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით ფლობისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება; მარიხუანის პირად სივრცეში მოხმარება ლეგალიზდა; თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციულ*

197 იქვე, გვ. 54.

198 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015, IIსამოტივაციო ნაწილი, 82-ე და 83-ე პარა., ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JxXATY, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

199 იქვე, 83-ე პარა.

200 იქვე, 82-ე პარა.

სასჯელად გამოცხადდა მოსახმარად გამოუსადეგარი ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის და სხვ".[201] ამის მიუხედავად, პოლიტიკურ კლასს არ აღმოაჩნდა ნარკოპოლიტიკის ფუნდამენტური ცვლილების ნება. 2017 წელს, „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის" მიერ შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მკურნალობის, რეაბილიტაციის, ზრუნვისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესებას, ასევე ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაციას.[202] კანონპროექტით განსხვავებულად და სამართლიანად იყო მოწესრიგებული ნარკოტიკული საშუალებების მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის საწყისი ოდენობებიც, ნარკოდანაშაულისთვის დაწესებული სანქციები და სხვა.[203] ეს ინიციატივა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტზე პირველი მოსმენით განხილვის შემდეგ, გაურკვეველი ვადით, დღემდე შეჩერებულია.[204]

მკურნალობა-რეაბილიტაციაზე, ზრუნვასა და მხარდაჭერაზე დაფუძნებული მიდგომები ნარკოდანაშაულის (კერძოდ, მოხმარებისა და მოხმარების მიზნით განხორციელებული სხვადასხვა ქმედების) პრევენციის ყველაზე სამართლიან და ჰუმანურ მიდგომად უნდა ჩაითვალოს. ის სტრატეგიები, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებლების დასჯაზეა ორიენტირებული, გარდა იმისა, რომ ინდივიდების ჯანმრთელობასა და ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას პრიორიტეტად არ აქცევს, საეჭვოა მათი ეფექტიანობა ნარკოტიკული საშუალებების ავადმოხმარების შემცირების კუთხითაც.[205] ამასთან, როგორც უკვე ითქვა, იდენტური ლოგიკა ვერ გავრცელდება ნებისმიერი ტიპის ნარკოდანაშაულზე.

შესაბამისად, ცალკე აღებული რომელიმე მიდგომა უნივერსალურ გამოსავლად არ შეიძლება დაისახოს. ამის მიზეზი, *„ნივთიერებათა ავადმოხმარებისა და ადიქციის ჩამოყალიბებაში მოქმედი მრავალი ცვლადის არსებობაა".*[206] თითოეული მიდგომის ღირებულება უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ნარკოდანაშაულის პრევენციაზეა საუბარი, რომელი მათგანი უზრუნველყოფს უფრო სამართლიან და ჰუმანურ მიდგომას, როგორ ითვალისწინებს ესა თუ ის სტრატეგია საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ კონტექსტს და სხვა. მნიშვნელოვანია

201 თორნიკე გერლიანი, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე – მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, გვ. 22, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/36mYSCG, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

202 ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები), 2019, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uahcac, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

203 იქვე.

204 თორნიკე გერლიანი, დასახელებული სტატია, გვ. 22.

205 დერილ ს. ინაბა და უილიამ ე. კოენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 251.

206 იქვე, გვ. 258.

იმის გათვალისწინება, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გამო ადამიანის მიმართ არა რეპრესიული, არამედ ზრუნვისა და მხარდაჭერის მექანიზმები უნდა გამოიყენებოდეს. ეს გამომდინარეობს, როგორც ადამიანთა სოციალური გაძლიერებისა და მხარდაჭერის, ასევე ინდივიდის პიროვნული ავტონომიის, ღირსებისა და ნების თავისუფლების პატივისცემის პერსპექტივიდან.

V. პრობაციის თანამედროვე გაგება და ჰოლისტური მიდგომები

ისტორიულად პრობაციის როლი განსხვავებულად წარმოჩინდებოდა და შესაბამისად, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. საინტერესოა, რომ დღესდღეობით პრობაციის მნიშვნელობის თაობაზე გამოთქმული კრიტიკული პერსპექტივები და პრაქტიკული მცდელობები გარკვეულწილად უბრუნდება იმ იდეურ საწყისებს, რომელიც პრობაციის სისტემების განვითარების ერთ-ერთი საფუძველი იყო.[207] როგორც ცნობილია, საპატიმროებში დასაქმებული პრობაციის პირველი ოფიცრების როლი სოციალურ და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ მუშაობაში მდგომარეობდა.[208] ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, პრობაციის სისტემა უმთავრესად ვლინდებოდა ვიწროდ სისხლისსამართლებრივ, რისკების მენეჯმენტზე ორიენტირებულ უწყებად. გასათვალისწინებელია, რომ თანდათანობით, ამგვარი მიდგომების მიმართ გამოთქმული კრიტიკის ფონზე, პრობაციის მნიშვნელობის ხელახალი გააზრების პროცესი დაიწყო, რის შედეგადაც განვითარდა პრობაციის პრო-სოციალური მოდელები.[209]

დღესდღეობით პრაქტიკაში გამოყენებად ყველაზე კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომას, რომელსაც პრობაციის სისტემები ბევრ ქვეყანაში ეყრდნობა, „სამართალდამრღვევის შეფასების სისტემა“ (OASys – Offender Assessment System) ეწოდება.[210] ამ სისტემის განსაკუთრებული ღირებულება არის ის, რომ მან პრობაციის სამსახურების საქმიანობაში უფრო აქტიურად შემოიტანა სოციალური კომპონენტები. კერძოდ, რისკების შეფასებისა და მენეჯმენტის ტრადიციული მიდგომების გარდა, ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია ისეთი სოციალური ცვლადების გამოკვლევას, როგორებიცაა: საცხოვრისი; განათლება და დასაქმება; ფინანსები და შემოსავალი; სოციალური და პირადი ურთიერთობები; ცხოვრების წესი; ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება; ემოციური კეთილდღეობა (მენტალური ჯანმრთელობის ჩათვლით); ქცევები (მათ შორის საკუთარი ქმედებების მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინება; საკითხების დანახვა სხვისი პერსპექტივიდან); და დამოკიდებულებები (სამართალდარღვევისა და ზედამხედველობის პრაქტიკების მიმართ).[211]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ვისაუბროთ პრობაციის პრო-სოციალური მოდელის იმ მახასიათებლებზე, რომელიც პრობაციას ხედავს არა ვიწ-

207 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 26.
208 Ibid, p. 228.
209 Ibid, p. 31.
210 Ibid, p. 181.
211 Ibid.

როდ სისხლისსამართლებრივი, არამედ უწყებათაშორისი, ადამიანის სოციალურ და პიროვნულ გაძლიერებაზე ორიენტირებული პრიზმიდან. ამ გაგებით, პრო-სოციალური მოდელი დასახელებულ ცვლადებს ხედავს როგორც შეფასებისა და ინტერვენციის ობიექტებს და ამავდროულად, სტრუქტურ პრობლემებს:

საცხოვრისი – ღირსეული საცხოვრისი ცენტრალურია სამსახურისა და შემოსავლების შენარჩუნებისთვის, მკურნალობისთვის, ოჯახური მხარდაჭერისთვის და სხვა. გარდა ამისა, ღირსეული და ხელმისაწვდომი საცხოვრებელი წარმატებული რეაბილიტაციისა და სხვებისთვის ზიანის მიყენების რისკების დაზღვევისთვის ფუნდამენტურია. ითვლება, რომ ღირსეულ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა არასაკმარისი, თუმცა აუცილებელი წინაპირობაა დანაშაულის განმეორების თავიდან ასაცილებლად.[212]

დასაქმება და განათლება – სამართალდამრღვევთა უმრავლესობა დანაშაულის ჩადენის მომენტში უმუშევარია. დასაქმებასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობასა და დანაშაულს შორის კავშირები კომპლექსურია, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ სამუშაოს მოაქვს განსხვავებული შესაძლებლობები და შემოსავლის ლეგიტიმური წყაროები, ცვლის ცხოვრების წესს და აძლიერებს არაფორმალური კონტროლის მექანიზმებს, რაც დანაშაულისგან თავშეკავების მნიშვნელოვანი კომპონენტია.[213]

მენტალური და ფსიქიკური ჯანმრთელობა – ასევე კომპლექსურია კავშირი დანაშაულსა და მენტალურ ჯანმრთელობას შორის. სოციალური სამართლიანობის პარადიგმა მოითხოვს, რომ სამართალდარღვევებს ხელი მიუწვდებოდეთ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე. ამ შემთხვევაში პრობაციის სისტემას, ჯანდაცვის სერვისებთან ერთად, დიდი როლი აქვთ.[214]

ნარკოტიკები და ალკოჰოლი – აუცილებელია, სხვადასხვა ნივთიერებაზე თუ ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულ პირებს ჰქონდეთ მკურნალობის, ზიანის შემცირებისა და კონტროლის ყველა შესაძლებლობა. ამისთვის, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს მათ შესაბამისი სერვისებით. ამ ნაწილში გამოიყოფა სამი ტიპის ინტერვენციები: 1) ბიოლოგიური ინტერვენციები – ეს გულისხმობს ჩანაცვლებით მკურნალობებს, დეტოქსიკაციას, ავადმოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობას და სხვა. 2) ფსიქოლოგიური ინტერვენციები – ასეთია სხვადასხვა ტიპის თერაპიები და კონსულტაციები. და 3) სოციალური ინტერვენციები – ეს უკანასკნელი მიემართება იდეას, რომ შემცირდეს ადამიანთა სოციალური ექსკლუზია, გაუმჯობესდეს მათი ხელმისაწვდომობა საცხოვრებელზე, დასაქმებაზე და

212 Ibid, p. 191.

213 Ibid.

214 Ibid, pp. 192-193.

სხვა.[215] მთლიანობაში, ამ ტიპის ინტერვენციები ადიქტოლოგიაში ცნობილია, როგორც „ბიოფსიქოსოციალური მოდელი", რომელიც ჰოლისტურ მიდგომას წარმოადგენს.[216] ბიოფსიქოსოციალური მოდელის მიხედვით, *„ნარკოტიკების მოხმარება არის გენეტიკური/ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალურ-კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგი და ნარკოტიკების მოხმარების პრევენციასა და მკურნალობის დროს ყველა ეს ფაქტორი უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში".*[217] ამასთან, ამ მიდგომის თანახმად, არც ერთი ცალკე აღებული უწყება (სამინისტრო, დაწესებულება) არ ფლობს იმდენ კომპეტენციასა და ექსპერტიზას, რათა ეს პროცესი საბოლოოდ წარმატებული და ინდივიდის საჭიროებებზე მორგებული იყოს.[218] შესაბამისად, *„წამალდამოკიდებული ადამიანების მკურნალობა, ფსიქოსოციალური დახმარება და რეაბილიტაცია შესაძლებელია მხოლოდ დახმარების ინტეგრირებული მოდელის მეშვეობით, რომელშიც მომსახურების მიწოდება ხდება შეთანხმებულად და ერთობლივად, სახელმწიფო, სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ".*[219] ინტეგრირებული ზრუნვა მიზნად ისახავს ნარკოტიკების მომხმარებელთა მხარდაჭერას, მათ შორის ჯანმრთელობის და სოციალური პრობლემების დაძლევის გზით.[220] ინტეგრირებული ზრუნვის პარადიგმის მიერ დანერგილი მიდგომები უშუალოდ უკავშირდება ბიოფსიქოსოციალურ მოდელს.[221]

ფინანსები და ვალი – სიღარიბე საზოგადოების იმ ნაწილის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ დამახასიათებელი ნიშანია, რომელთანაც პრობაციის სამსახურებს უწევთ შეხება. ამის მიუხედავად, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენისა და პრობაციის სისტემის როლის ანალიზისას, სიღარიბეს, როგორც სტრუქტურულ პრობლემას და მის პრაქტიკულ გამოვლინებებს ნაკლებად ექცევა ყურადღება.[222]

სამართალდამრღვევთა ოჯახები და შვილები – აღსანიშნავია, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრობაციის როლს დამნაშავეთა ოჯახებთან მუშაობის თვალსაზრისით. ეს გულისხმობს ოჯახის მხარდაჭერას, ოჯახური ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზებას და ა.შ. ითვლება, რომ ინდივიდის სოციალური გაძლიერებისა და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, ამ კუთხით პრობაციის, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო სამსახურებს, ისევე როგორც

215 Ibid, p. 193.

216 იოსებ აბესაძე, ნანა აღაპიშვილი და სხვები, ბიოფსიქოსოციალური მიდგომა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქართველოს ზრუნვის პლატფორმა, 2020, გვ. 7, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ujU0WW, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

217 იქვე, გვ. 122.

218 იქვე, გვ. 123.

219 იქვე.

220 იოსებ აბესაძე, უჩა ვახანია და სხვები, ინტეგრირებული ზრუნვა, საქართველოს ზრუნვის პლატფორმა, 2021, გვ. 102-103, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L0edI8, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

221 იქვე, გვ. 7.

222 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 193.

მათთან კოოპერაციაში მყოფ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ღირებული კონტრიბუციის შეტანა შეუძლიათ.[223]

უნდა ითქვას, რომ პრობაციის პრო-სოციალური მოდელების მიერ დღის წესრიგში დაყენებული ეს საკითხები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, ამასთანავე, მათი დიდი ნაწილი სტრუქტურული ხასიათისაა და, შესაბამისად, მის მოგვარებაზეც პრობაციის სამსახური ვერ იქნება პასუხისმგებელი. ამ მიდგომის მთავარი არსი ის არის, რომ ის პრობაციის სისტემას ხედავს სოციალური ინკლუზიისა და კეთილდღეობის ერთ-ერთ ღერძად. საქმიანობის ფარგლებში, პრობაციის სისტემას რიგ შემთხვევებში შეიძლება თავად ჰქონდეს წამყვანი როლი (სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მიერ გაწეული სამუშაო, კვლევითი და ანალიტიკური მუშაობა, თემში არსებულ პრობლემებზე რეფლექსია და ა.შ.), ან ასრულებდეს ერთგვარად მედიუმის როლს. ეს გულისხმობს, რომ პრობაციის სისტემა უნდა იყოს გამტარი და დამაკავშირებელი სხვადასხვა რელევანტურ სტრუქტურასა და ინდივიდს შორის, ამ უკანასკნელის სოციალური გაძლიერების, მისი საჭიროებების დღის წესრიგში დაყენებისა და მოგვარების მიზნით.[224]

როცა საკითხი ნარკოტიკების მომხმარებლებს და ნარკოდანაშაულებს ეხება, პრობაციის სისტემა და არასაპატიმრო სასჯელები განსაკუთრებულ რელევანტურობას იძენს. როგორც წინამდებარე დოკუმენტის საწყის თავებში აღინიშნა, ნარკოდანაშაულის ჩადენაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები. პრობაცია, თავისუფლების აღკვეთისგან განსხვავებით, სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ ამ სოციალური ცვლადების მხედველობაში მიღება მისთვის ცენტრალურია. პრობაცია საკუთარ თავში გულისხმობს ინდივიდის საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ზრუნვას და ამისთვის კომპლექსურ და მრავალმხრივ მიდგომებს ეყრდნობა. ამ გაგებით, პრობაცია მეტად მოქნილი მექანიზმია.

ნარკოტიკული დანაშაულის მკაცრი სისხლისსამართლებრივი რეპრესია ისტორიულად ხშირად გამოიყენებოდა მორალური პანიკის (moral panic) შექმნის მიზნით.[225] ეს არის ერთგვარი ციკლური პროცესი, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა აქტორის (მედია, ინსტიტუციები) მიერ საჯარო აზრის წარმოებით, კონკრეტულ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანების დევიანტებად მონიშვნით, დევიაციის ახალი აქტების აღმოჩენით, შიშის გენერირებითა და უფრო ძლიერი სადამსჯელო ზომების გამოყენებით.[226]

223 Ibid, p. 194. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმ ტიპის ინტერვენციები, რომლებიც მიმართულია ქცევების, მიდრეკილებებისა და დამოკიდებულებების ცვლილებისკენ. ამ საკითხზე დეტალური ყურადღება გამახვილებულია III თავში („როგორია პრობაციის სისტემის როლი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის აღკვეთის პროცესში?“)

224 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 146.

225 William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, Rice University, 2013, p. 202.

226 Ibid.

ეს პრაქტიკები, თავის მხრივ, სახელმწიფოს ძალაუფლებრივ და იდეოლოგიურ მიზნებს აშიშვლებს, რომლითაც ის ჩაბმულია საზოგადოების დისციპლინირებისა და მორალური გაწვრთნის პროცესში. მაგალითად, დევიდ გარლანდი აღნიშნავს, რომ *„ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ აშშ-ში, 1970-იანი და 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ხშირად, კრიმინალიზებული ნივთიერებების შენახვისა და გაყიდვის აქტს ეპყრობოდა როგორც უმძიმეს დანაშაულს, რომელიც ძალზედ სერიოზულ და მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. [...] ამერიკელი ხალხი, რაღაც ეტაპზე, მიხვდა, რომ ამგვარი მიდგომა არ ეფუძნებოდა სათანადო პოლიტიკას თუ მორალს და მას დაუპირისპირდა. [ისინი ფიქრობდნენ], რომ სინამდვილეში ნარკოტიკის მოხმარებასა და გაყიდვაზე ასეთი რეპრესიული რეაქცია ზედმეტად მკაცრი იყო და არ შეესაბამებოდა იმ ღირებულებებს, რომელსაც ბევრი ადამიანი იზიარებდა“.*[227]

227 სასჯელის სოციოლოგია: ინტერვიუ დევიდ გარლანდთან, ნაწილი I, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3D2NTdD, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

VI. პრობაციის სისტემა საქართველოში — შესავალი

დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.[228] სააგენტო ახორციელებს როგორც საზედამხედველო, ასევე რესოციალიზაციის, რეინტეგრაციისა და პრევენციულ ფუნქციებს.[229] ამ ფუნქციების შესრულებით, პრობაციის სააგენტო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება.[230]

პრობაციის სააგენტოს მანდატი სხვადასხვა აქტის და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებაზე ვრცელდება. კერძოდ, იგი ზედამხედველობას უწევს შემდეგი სახის არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებას, როგორებიცაა: სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა; გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა; შინაპატიმრობის დანიშვნა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.[231] გარდა ამისა, აღსრულებას ექვემდებარება შემდეგი სამართლებრივი აქტები: პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ; სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ და სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ (ორსული ქალისათვის – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე).[232]

პრობაციის სააგენტო საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების (სულ 9)[233] და ტერიტორიული ორგანოების – პრობაციის ბიუროების-

228 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/383KbFc, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

229 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №485 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rB7JIm, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

230 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №485 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

231 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

232 იქვე, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

233 სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია: ადმინისტრაციული დეპარტამენტი, ორგანიზაციული მხარდაჭერის დეპარტამენტი, ეკონომიკური დეპარტამენტი, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, კვლევისა და სერვისების დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი და არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №485 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

გან (სულ 10).[234] ბიუროები, თავის მხრივ, სხვადასხვა რაიონული ოფისისგან შედგება.[235] პრობაციის სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს იუსტიციის მინისტრი.[236]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის ბრძანების მიხედვით, პენიტენციური დაწესებულებები და პრობაციის ეროვნული სააგენტო რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით ბენეფიციართა სამ მსხვილ ჯგუფს ემსახურება. ესენი არიან: 1) პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული სრულწლოვანი მსჯავრდებულები; 2) პირობით მსჯავრდებულები და 3) ყოფილი მსჯავრდებულები.[237]

ბოლო წლებში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ განხორციელდა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სისტემატიზება, სტრუქტურული გამართვა; ამასთანავე, დაიხვეწა ინდივიდუალური შეფასების ფორმები.[238] გარდა ამისა, 2019 წლის ბოლოდან, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციართა წრეს დაემატა ყოფილი მსჯავრდებულებიც.[239] არსებული მოწესრიგებით, პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა შემთხვევის მართვა პირველ ეტაპზე დანერგილია შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან: №5 ქალთა სპეციალური დაწესებულების მსჯავრდებულებთან; №16 დაბალი რისკისა და გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულების მსჯავრდებულებთან; ყველა უვადო

234 სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებია: თბილისის პრობაციის ბიურო; სამეგრელოსა და ზემო სვანეთის პრობაციის ბიურო; აჭარისა და გურიის პრობაციის ბიურო; იმერეთის პრობაციის ბიურო; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პრობაციის ბიურო; სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიურო; შიდა ქართლის პრობაციის ბიურო; მცხეთა-მთიანეთის პრობაციის ბიურო; ქვემო ქართლის პრობაციის ბიურო და კახეთის პრობაციის ბიურო. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №485 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

235 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

236 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

237 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OpN2ZZ, წვდომის თარიღი: 15.03.2022.

238 შეადარეთ ძალადაკარგულად გამოცხადებულ ბრძანებებს: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის №39 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის ბრძანება №33 „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: https://bit.ly/3MmcH3X და https://bit.ly/3xAdGt3; წვდომის თარიღი: 15.03.2022.

239 იხ.: 2019 წლის 29 ნოემბრის კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3uWtd4E; წვდომის თარიღი: 15.03.2022.

მსჯავრდებულთან.[240] ბრძანების მიხედვით, დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვა უნდა დაინერგოს ეტაპობრივად, 2023 წლის ბოლომდე.[241] სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მსჯავრდებულთა შემთხვევის მართვა დამატებით უკვე დაინერგა №3, №6, №10, №15 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში.[242]

მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მკაფიო ხედვა, რამდენად საკმარისია არსებული რესურსები ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში შემთხვევების ეფექტიანი მართვისთვის, დაეფუძნა თუ არა ეს გადაწყვეტილება რესურსების მართვისა და გაძლიერების კონკრეტულ სტრატეგიას და არსებობს თუ არა ამ კუთხით რისკების დაზღვევის გეგმა. ამ დრომდე, ეს საკითხები ბუნდოვანია, რაც სამინისტროს მხრიდან მეტი ღიაობისა და კვლევაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს.

240 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.

241 იქვე.

242 სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია №98016/01.

VII. ნარკოდანაშაულისთვის პირობით მსჯავრდებულები საქართველოში — ზოგადი სურათი

პრობაციის სისტემის როლი უდიდესია ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და მათი სოციალური გაძლიერების პროცესში. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ტიპის ნარკოდანაშაულებს, სადაც არ ფიგურირებს გასაღების მიზანი; მაშასადამე, ნარკოტიკების მოხმარებას, ფლობას, შეძენა-შენახვას, კულტივაციას და ა.შ. პრობაციის მნიშვნელობა იხსნება ნარკოდანაშაულებთან მიმართებით ორი მსხვილი ფაქტორით: 1) ნარკოტიკულ დანაშაულებს, როგორც წესი, განაპირობებს იმ ტიპის სოციალური ფაქტორები, რომელზე პასუხიც არ შეიძლება იყოს მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. ამგვარი პოლიტიკა ვერ აღწევს შედეგს ადამიანის დასჯით, არ იწვევს ნარკოდანაშაულების შემცირებას გრძელვადიან პერსპექტივაში და არც ადამიანთა არჩევანს სცემს პატივს (ასევე, არ არსებობს ემპირიული მონაცემი, რომლითაც დადასტურდება ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენი პირების მიერ რაიმე სხვა, მძიმე დანაშაულის ჩადენა).[243] 2) პრობაციის სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ნაწილია, სწორი და სამართლიანი ფუნქციონირების შემთხვევაში, ითავსებს ადამიანის სოციალური გაძლიერების და მასზე ზრუნვის კომპონენტებს. ზრუნვა და სოციალური ინკლუზია პრობაციის ცენტრალური იდეებია. გარდა ამისა, პრობაციის სააგენტოები, მართალია, ახორციელებენ ზედამხედველობით ფუნქციას, თუმცა ამავე დროს ეყრდნობიან ადამიანის ცვლილების და მისი არჩევანის თავისუფლების ფუნდამენტურ რწმენასაც.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაცია, მიუხედავად საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორების მცდელობისა, ვერ განხორციელდა.[244] 2015 წლის შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ნარკოპოლიტიკამ მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია განიცადა, მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად, მარიხუანის გარდა, ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებების რეგულარული მომხმარებლები კვლავაც სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტები არიან.[245] ეს იმ ფონზე, როცა ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნეგატიური შედეგები აღიარებულია. მაგალითად, Human Rights Watch-ის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ: *„ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კრიმინალიზაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებისთვისაც კონტრპროდუქტიულია. მკაცრი სისხლისსამართლებრივი ნარკოპოლიტიკის მიუხედავად, ბოლო ათწლეულში ნარკოტიკების მოხმარება, ფაქტობრივად, იზრდება. ადამიანებისთვის, ვინც ნარკოდამოკიდებულებას ებრძვის, არსებული ნარკოპოლიტიკა, ხშირად ნიშნავს*

243 სამაგალითო დასჯა – საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, Human Rights Watch, 2018.

244 თორნიკე გერლიანი, დასახელებული სტატია, 2021, გვ. 22.

245 იქვე, გვ. 23.

დაპატიმრება-გათავისუფლების ციკლებს და ნებაყოფლობითი მკურნალობის ძალიან შეზღუდულ ან საერთოდ არანაირ ხელმისაწვდომობას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აგრეთვე საფრთხეს უქმნის ნარკომომხმარებელთა ჯანდაცვის უფლებას, უბიძგებს რა მათ მალვისკენ. ეს ხელს უშლის ჯანდაცვის და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისებით სარგებლობას, რაც ამ ადამიანებისთვის დაავადებებით და ზოგჯერ, ფატალური ზედოზირებით მთავრდება.“[246]

ასეთ დროს, მნიშვნელოვანია, რომ რიგ ნარკოდანაშაულებთან მიმართებით მაქსიმალურად თავიდან იყოს არიდებული საპატიმრო სასჯელები, ასევე ისეთი ტიპის სანქციები, რომლებიც მძიმედ ზემოქმედებს ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სისხლის სამართლის კონკრეტულ ნორმებთან მიმართებით,[247] საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ მსჯავრდებული პირების ჯამური რაოდენობა შემდეგია: 2018 წელს – 2.317; 2019 წელს – 3.305; 2020 წელს – 2.106; 2021 წელს – 1,493 (9 თვის მონაცემი).[248] რაც შეეხება გამოყენებულ სასჯელებს, ის თითოეული წლისა და შესაბამისი ნორმების მიხედვით ამგვარად გამოიყურება:

სსკ-ის მუხლები	სულ მსჯავრდებული	მათ შორის			წელი
		თავისუფლების აღკვეთა	ჯარიმა	საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	
	პირი	პირი	პირი	პირი	
260 (I, II, III)	1.437	240	29	0	2018
261 (I, II, III)	23	5	2	0	
265 (I, II)	197	4	77	34	
273	238	7	113	68	
273[1] (I, II, III, IV, V, VI, VII)	422	4	161	200	
ყველა მუხლი	**2.317**	**260**	**382**	**302**	
260 (I, II, III)	1.736	302	34	1	2019
261 (I, II, III)	74	11	9	0	
265 (I, II)	404	11	185	43	
273	94	9	36	26	
273[1] (I, II, III, IV, V, VI, VII)	997	5	381	494	
ყველა მუხლი	**3.305**	**338**	**645**	**563**	

246 სამაგალითო დასჯა – საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, Human Rights Watch, 2018.

247 სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 261-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 265-ე მუხლის I და II ნაწილები; 273-ე მუხლი; და 2731 (პრიმა) მუხლის I, II, III, IV, V, VI, და VII ნაწილები.

248 უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია N პ-818-21.

249 უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია N პ-129-22.

260 (I, II, III)	1.006	195	17	2	2020
261 (I, II, III)	36	6	5	0	
265 (I, II)	271	13	99	37	
273	53	2	20	16	
273[1] (I, II, III, IV, V, VI, VII)	740	5	294	343	
ყველა მუხლი	**2.106**	**221**	**435**	**398**	
260 (I, II, III)	1.046	100	11	0	2021[249]
261 (I, II, III)	12	2	4	0	
265 (I, II)	232	11	84	27	
273	18	1	2	6	
273[1] (I, II, III, IV, V, VI, VII)	739	6	282	335	
ყველა მუხლი	**2.047**	**120**	**383**	**368**	

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთლიანობაში, ყოველწლიურად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა დიდ წილს არ იკავებს, 2019 წლის შემდგომ კლებადი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა მაინც მნიშვნელობს (2018 წელს – 260; 2019 წელს – 338; 2020 წელს – 221; 2021 წელს – 120).[250] ყველაზე ხშირად ის სისხლის სამართლის 260-ე მუხლის 1-ელ და მე-3 ნაწილებთან მიმართებით გამოიყენება. ამასთან, პრობლემურად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევები 2019, 2020 და 2021 წლებში უფრო მეტი იყო, ვიდრე 2018 წელს. კერძოდ, 2018 წელს, დასახელებულ ნორმებთან მიმართებით, ჯარიმა დაეკისრა 382 პირს, 2019 წელს – 645-ს, 2020 წელს – 435-ს, 2021 წელს კი – 383 პირს).[251]

იმავე ნორმებთან მიმართებით, პირობითი მსჯავრის ჯამური ოდენობა 2018 წელს 1.357 იყო, 2019 წელს – 1.751, 2020 წელს – 1.026, 2021 წლის 15 ნოემბრამდე კი – 1.001.[252] განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირობით მსჯავრს დამატებითი სასჯელის სახით ხშირად ერთვის ჯარიმა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, რაც მსჯავრდებულებისთვის, როგორც წესი, მძიმე სოციალურ და ფინანსურ წნეხს წარმოადგენს. სასჯელის ამგვარი პოლიტიკა ნათლად მიუთითებს, რომ ნარკოპოლიტიკა კვლავაც რეპრესიულობის, და არა ზრუნვის, პარადიგმიდან დაინახება. აქვე აღსანიშნავია, რომ ჯარიმასა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან შედარებით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, როგორც წესი, გაცილე-

250 უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია N პ-818-21.

251 იქვე.

252 უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია N პ-125-22.

ბით ნაკლებ წილს იკავებს (შედარებით პოზიტიურია 2021 წლის მაჩვენებელი). თვალსაჩინოებისთვის მონაცემებს ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგენთ:

სსკ-ის მუხლები	დაენიშნა პირობითი მსჯავრი	დამატებითი სასჯელი			წელი
		ჯარიმა	საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	
	პირი	პირი	პირი	პირი	
260 (I, II, III)	1.161	838	733	222	2018
261 (I, II, III)	16	9	9	1	
265 (I, II)	75	18	38	23	
273	50	14	13	12	
273^1 (I, II, III, IV, V, VI, VII)	55	8	14	12	
ყველა მუხლი	**1.357**	**887**	**807**	**270**	
260 (I, II, III)	1.400	1.135	830	197	2019
261 (I, II, III)	54	43	31	7	
265 (I, II)	157	54	77	41	
273	23	12	12	4	
273^1 (I, II, III, IV, V, VI, VII)	117	50	41	13	
ყველა მუხლი	**1.751**	**1.294**	**991**	**262**	
260 (I, II, III)	773	621	450	101	2020
261 (I, II, III)	25	17	11	3	
265 (I, II)	115	38	39	45	
273	15	6	2	1	
273^1 (I, II, III, IV, V, VI, VII)	98	14	32	29	
ყველა მუხლი	**1.026**	**696**	**534**	**179**	
260 (I, II, III)	817	636	444	500	2021 (15 ნოემ-ბრამ-დე)[253]
261 (I, II, III)	5	3	3	0	
265 (I, II)	94	28	30	33	
273	8	4	2	0	
273^1 (I, II, III, IV, V, VI, VII)	77	20	22	17	
ყველა მუხლი	**1.001**	**691**	**501**	**550**	

253 იქვე.

განსაკუთრებით საინტერესოა დასახელებული ნორმების საფუძველზე მსჯავრდებული პირების სოციალური მახასიათებელი – დასაქმების სტატუსი. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციით დგინდება, რომ 2018 წლიდან დღემდე, დასახელებული ნორმებით მსჯავრდებულთა უდიდესი ნაწილი, 86%-დან 91%-მდე, უმუშევარი იყო, და ეს მონაცემი მზარდია (2018-2019 წლებში უმუშევართა წილი იყო 86%, 2020 წელს – 87%, ხოლო 2021 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში – 91%).[254] ეს კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს ნარკოტიკების მოხმარების სოციალურ ასპექტებს და სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვისა და მხარდაჭერის მიდგომების აუცილებლობას.

254 უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია N პ-818-21.

VIII. ზრუნვისა და კონტროლის ძირითადი მიდგომები პრობაციის სისტემაში

ყველაზე ზოგადი დაყოფით, პრობაცია ორ დიდ ფუნქციას ითავსებს – ზრუნვის და კონტროლის.[255] ეს დაყოფა აჩვენებს პრობაციის სისტემაში სისხლისსამართლებრივი და სოციალური გაძლიერების მექანიზმების გადაჯაჭვულობას. მიუხედავად იმისა, რომ დასჯასა და რისკების მენეჯმენტზე ორიენტირებული მიდგომების მომრავლება ევროპის მასშტაბით წლების განმავლობაში თვალში საცემი იყო (ამ ტენდენციას სხვაგვარად უწოდებენ სვლას „კეთილდღეობიდან კორექციისკენ“), პრობაციის სისტემაში ზრუნვისა და სოციალური მუშაობის კომპონენტები მაინც ცენტრალურია.[256]

პრობაციის სისტემა არასდროსაა მხოლოდ კონტროლისა და მონიტორინგის განმახორციელებელი (მაშინაც კი, როცა აღნიშნული ფუნქციები ზედამხედველობის აუცილებელი კომპონენტები შეიძლება იყოს).[257] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, *„პრობაციის პრაქტიკაში სოციალური ინკლუზია წამყვანი პრინციპია“,*[258] რომელიც მოიცავს სამართალდამრღვევებთან აქტიურ მუშაობას, მათთვის სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობის გაჩენას, ახალი უნარების შეძენაში დახმარებას და მოტივირებას.[259] პრობაცია ეყრდნობა იმ ფუნდამენტურ დაშვებას, რომ ეს პროცესი უნდა გახდეს ადამიანის ცვლილების, მისი სოციალური გაძლიერებისა და, შესაბამისად, დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის პრევენციის საფუძველი.

პიროვნების რესოციალიზაციის, რეინტეგრაციის და სოციალური ინკლუზიის მიზნები გულისხმობს, როგორც ადამიანის ინდივიდუალურ გაძლიერებას, ასევე არსებულ სოციალურ გარემოში თავის დამკვიდრების ხელშეწყობას. მაგალითად, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციების ოფიციალურ კომენტარებში აღიარებულია დანაშაულის პრევენციისთვის დასაქმების მნიშვნელობა. ადეკვატური და ღირსეული სამუშაოს პოვნისთვის კი აუცილებელია არა მხოლოდ შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და მოტივაციის ქონა, არამედ მუშაობის შესაძლებლობების არსებობა.[260] როგორც წესი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანებისთვის სამსახურის პოვნა და დამსაქმებლის მხრიდან ნდობის მოპოვება დამატებით სირთულეებთან არის დაკა-

255 Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018, p. 36.

256 Ibid, pp. 105-106.

257 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 1.

258 Ibid, para.: 12.

259 Ibid, para.: 1.

260 Ibid, para.: 59.

ვშირებული.[261] პრობაციის სააგენტოების როლი ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია – მათ უნდა შეასრულონ ერთგვარი შუამავლის როლი, რომელიც პიროვნებასთან და სხვადასხვა სექტორთან აქტიური მუშაობითა და ინდივიდის მრავალმხრივი საჭიროებების გათვალისწინებით, მისი დასაქმების ხელშეწყობის როლს იტვირთავს.[262] მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მიუთითებს, რომ *„ზედამხედველობა უნდა დაინახებოდეს არა წმინდად მაკონტროლებელ ფუნქციად, არამედ რჩევის, დახმარებისა და მოტივირების ინსტრუმენტად“.*[263]

შესაბამისად, არსებითია იმის განსაზღვრა, ერთი მხრივ, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო რამდენად პრიორიტეტულად უყურებს რესოციალიზაციის, რეინტეგრაციისა და სოციალური ინკლუზიის მიზნებს (კონტროლის მიზნებთან შედარებით), მეორე მხრივ, თავად სისტემაში რამდენად არსებობს ზრუნვისთვის აუცილებელი რესურსები. კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, უმთავრესი აქცენტი ნარკოდანაშაულებთან მიმართებით გაკეთდება.

არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების მიხედვით, *„პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმი მოიცავს პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას“.*[264] ეს სტანდარტული პროცედურაა, რომელიც ყველა მსჯავრდებულზე ვრცელდება. კანონის თანახმად, დადგენილი რეჟიმი შეიძლება მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას[265] და ასევე, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულებას.[266]

„სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ დაინტერესდა, კონკრეტულ ნარკოდანაშაულებში (გარდა გასაღებისა)[267] პირობით მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით, ბოლო წლებში (2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2021 წლის 15 ნოემბრამდე), თუ რა სახის ღონისძიებები, რა ინტენსივობით გამოიყენებოდა. პირველ შემთხვევაში, მათ მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის შედეგად დგინდება, რომ პრობაციის საააგენტო არ აწარმოებს სხვა მოვალეობების დაკისრების შესახებ სტატისტიკას. აქე-

261 Ibid.

262 Ibid.

263 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 55.

264 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი.

265 იქვე.

266 იქვე, 1^1-ლი პუნქტი.

267 სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 261-ე მუხლის I, II და III ნაწილები; 265-ე მუხლის I და II ნაწილები; 273-ე მუხლი; და 2731 (პრიმა) მუხლის I, II, III, IV, V, VI, და VII ნაწილები.

დან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი წილი უმნიშვნელოა (თუმცა აღნიშნულის ზუსტად დადგენა შეუძლებელია, რაც, უპირველესად, სააგენტოს მხრიდან ამგვარი სტატისტიკის წარმოების აუცილებლობაზე მიუთითებს). ამ შემთხვევაში ისიც ბუნდოვანია, თუ კონკრეტულად რა ტიპის მოვალეობებს შეიძლება აკისრებდნენ დამატებით პირობით მსჯავრდებულებს (სავარაუდოდ, ის უნდა გამომდინარეობდეს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლიდან).[268]

რაც შეეხება სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულების დაკისრებას, სააგენტო აწარმოებს ზოგად სტატისტიკას,[269] თუმცა არა ჩაშლილ მონაცემებს იმის მიხედვით, პროგრამების მიწოდება მოხდა სავალდებულო თუ არასავალდებულო კრიტერიუმების საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს, აქვს თუ არა თითოეულ პირობით მსჯავრდებულს შესაძლებლობა, მისი სურვილის საფუძველზე ჩაერთოს მკურნალობა-რეაბილიტაციის პროგრამებში. აქვე ხაზგასასმელია, ამ ფონზეც კი, პრობაციის სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკა იმედისმომცემ ნიშნებს არ გამოკვეთს. ყოველწლიურად, იგი ცალკეულ ნარკოდანაშაულებში პირობით მსჯავრდებულ რამდენიმე ათას ადამიანს ემსახურება (2018 წელს – 5372; 2019 წელს – 5750; 2020 წელს – 5563; 2021 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით კი – 2880), ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით მიწოდებული სარეაბილიტაციო პროგრამების ოდენობა კი, უხეშად, 50-100-ის ფარგლებში მერყეობს.[270]

პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით პრობლემურია კანონმდებლობით განმტკიცებული ზოგიერთი სხვა სამართლებრივი სტანდარტიც. კერძოდ, იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილია, რომ ბენეფიციარ ყოფილ პატიმრებს, შემთხვევის მართვის ფარგლებში, სააგენტო სთავაზობს ისეთი ტიპის დახმარებას, როგორებიცაა: *ფსიქოსოციალური მომსახურება; იურიდიული მომსახურება; ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; დასაქმების*

268 ამ ნორმის მიხედვით, „პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – აგრეთვე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას“. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი.

269 პრობაციის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სარეაბილიტაციო პროგრამების ჯამური რაოდენობა იყო: 2018 წელს – 88, 2019 წელს – 46, 2020 წელს – 51, 2021 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით – 76. სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

270 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

ხელშეწყობა; სპორტულ, რეკრეაციულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა; პროფესიული გადამზადება/ხელობის შესწავლა; არაფორმალური განათლება; ყოფილ პატიმართა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა; უცხო ენის შემსწავლელ კურსში მონაწილეობა; სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამაში ჩართვა; ბენეფიციარების ოჯახის წევრებთან მუშაობა და სხვა.[271]

აღნიშნულისგან განსხვავებით, სააგენტოს ბენეფიციარ მსჯავრდებულებთან მიმართებით, კანონმდებლობა გამოყოფს სამი ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამას: *„ა) დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული პროგრამები – ინტერვენციები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კონკრეტული დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებას (სავალდებულოა მსჯავრდებულისთვის); ბ) დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებული პროგრამები – ინტერვენციები, რომლებიც არაპირდაპირ უკავშირდება დანაშაულებრივი ქცევის ცვლილებას, მაგრამ ზემოქმედებს მასზე (შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი); გ) პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები – კლინიკურ საჭიროებებთან გამკლავების და სოციალური უნარების განვითარების ინტერვენციები (შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი)“.*[272] აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში, ყოფილი პატიმრებისგან განსხვავებით, სააგენტოს ფუნქციები მსჯავრდებულ ბენეფიციარებთან მიმართებით მეტად ბუნდოვანია და ზრუნვისა და მხარდაჭერის კონკრეტულ ვალდებულებებს ნაკლებად აჩენს.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მთლიანობაში ძალზე ცოტაა იმ ყოფილი პატიმრების რიცხვი, ვინც შესაბამისი დახმარებისთვის სააგენტოს მიმართა. კერძოდ, 2020 წლის მარტიდან (მას შემდეგ, რაც ბრძანება ამოქმედდა) 2022 წლის 15 თებერვლამდე პერიოდში, სააგენტოს პროგრამაში ჩართვის თაობაზე 75-მა პირმა მიმართა.[273] მათგან, ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული სულ 14 პირი იყო.[274]

ზოგადად, ბენეფიციარზე ზრუნვის ვალდებულება გულისხმობს, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები/ინტერვენციები უნდა ემყარებოდეს კრიმინოგენური ფაქტორების პროფესიონალურ შეფასებას და იგეგმებოდეს მსჯავრდებულთან მჭიდრო კოორდინაციით. კანონმდებლობა კრიმინოგენური ფაქტორების

271 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, 38-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები.

272 იქვე, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

273 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386.

274 სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ჩართულები იყვნენ შემდეგ მხარდამჭერ პროგრამებსა და აქტივობებში: სრული სამედიცინო მომსახურება, სამგზავრო ბარათითა და საკვებით უზრუნველყოფა, თავშესაფარში განთავსება და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფა.

ფართო განმარტებას აფუძნებს, რომლის მიხედვითაც, ესაა *„პირის დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ნებისმიერი ფაქტორი (რისკი და საჭიროება), რომლის პოზიტიური ცვლილებაც ამცირებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას“.*[275] კანონმდებლობის ანალიზი კი ცხადყოფს, რომ შეფასებისა და დაგეგმვის პროცესი არ არის დომინირებული სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ჩართულობით.

რისკის და საჭიროების შეფასება მოიცავს სამ ეტაპს: მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის დოკუმენტის შედგენა; და რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური და დინამიკური ნაწილების შედგენა. მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგი მოიცავს პირის ძალადობრივი ქცევების/მიდრეკილებების გამოკვლევას (ჩადენილი აქვს თუ არა ძალადობრივი განზრახი დანაშაული და იყო თუ არა ის განმეორებითი; არის თუ არა ძალადობრივი ჯგუფის წევრი ან აქვს თუ არა გამოხატული ამგვარი ქცევა ოჯახში, ბავშვის მიმართ; აქვს თუ არა ნივთიერებათა ავადმოხმარების გამოცდილება დაკავებამდე, რაც უკავშირდებოდა ძალადობრივ ქცევას, და სხვ.). ამ ეტაპზევე ფასდება საკუთარი თავისადმი მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების რისკის დონე, რაც ორი კომპონენტის შეფასებას გულისხმობს: 1) აქვს თუ არა დესტრუქციული ტენდენციები. მაგ.: სუიციდის მცდელობა, თვითდაზიანება, პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმები; და 2) აქვს თუ არა ალკოჰოლის, ფსიქოაქტიური ნივთიერებისადმი ან/და აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება.[276]

რაც შეეხება მომდევნო ორ ეტაპს: რისკისა და საჭიროების შეფასების სტატიკური ნაწილები გულისხმობს ზოგადი [მაიდენტიფიცირებელი] ინფორმაციების და წარსული ნასამართლობის ფაქტების დეტალურ დამუშავებას. დინამიკური ფაქტორების შესწავლით კი პირის სოციალური და ფსიქოემოციური მდგომარეობის ანალიზი ხდება. კერძოდ, ეს ეტაპი გულისხმობს შემდეგი ელემენტების შეფასებას: საცხოვრებელი; ურთიერთობები ოჯახსა და ახლობლებთან; განათლება; დასაქმება; ეკონომიკური მდგომარეობა; აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება; ალკოჰოლის ავადმოხმარება; ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარება; დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულის მიმართ; ანტისოციალური ურთიერთობები; ცვლილებების მოტივაცია; აზროვნება და ქცევის კონტროლი; ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.[277]

უპირველესად უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგის დოკუმენტს და რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკურ ნაწილს პრობა-

275 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ,“ მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

276 იქვე, დანართი N5.

277 იქვე.

ციის ოფიცერი ავსებს.[278] კანონმდებლობაში არსებობს დათქმა, რომლის მიხედვითაც, პრობაციის ოფიცერივე ახდენს ამ რისკების შეფასებასაც *„პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები“.*[279] ეს დათქმა იმის აღიარებაა, რომ ნორმალურ შემთხვევაში, ორივე ეტაპის შეფასება მხოლოდ პრობაციის ოფიცრის მიერ არ უნდა ხდებოდეს, რადგან ამ დროს ფასდება არა მხოლოდ იურიდიული, არამედ, ნაწილობრივ, სოციალური და პიროვნული მახასიათებლებიც. ამდენად, მასში, შესაბამის ფარგლებში, სოციალური მუშაკი ან/და ფსიქოლოგიც უნდა იყვნენ ჩართულნი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ ამ ეტაპზეა დამოკიდებული შეფასდება თუ არა დინამიკური ფაქტორები. ბრძანების თანახმად, *„მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დაბალი დონის, ხოლო რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ფაქტორებიდან დაბალი ან საშუალო დონის გამოკვეთის შემთხვევაში, [...] დინამიკური ფაქტორები არ ივსება და შემთხვევა სასჯელის მოხდის კოორდინაციის მიზნით რჩება პრობაციის ოფიცერთან“.*[280]

შემთხვევის მართვის პროცესში, დინამიკური ფაქტორების შეფასების მიზნით, სოციალური მუშაკი მაშინ ერთვება, თუ გამოიკვეთება: 1) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დაბალი დონე და რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ფაქტორების მაღალი დონე; ან 2) მნიშვნელოვანი ზიანის რისკის საშუალო დონე და რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმის სტატიკური ფაქტორების დაბალი, საშუალო ან მაღალი დონე.[281] ამდენად, კანონმდებლობა ხისტად გაწერს დინამიკური ფაქტორების შეფასების და, შესაბამისად, ამ პროცესში სოციალური მუშაკის ჩართვის პროცედურას. ფაქტობრივად, ბენეფიციარს არ აქვს შესაძლებლობა, თავად მოითხოვოს მისი სოციალური მდგომარეობის და პიროვნული მახასიათებლების სიღრმისეული შესწავლა და შეფასება, რაც უფრო ნათელს გახდიდა, კონკრეტულად რა ტიპის საჭიროებების წინაშე დგას ბენეფიციარი, რა ტიპისა და მოცულობის პროგრამებისა და მხარდაჭერის მექანიზმების მიღებაა მისთვის მნიშვნელოვანი. შემთხვევის მართვის ამ ეტაპზე ბენეფიციარის ინტერესები მაქსიმალურად წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული. მიჩნეულია, რომ სადაც კი შესაძლებელია, კანონმდებლობით გარანტირებული უნდა იყოს მსჯავრდებულის ჩართულობა შეფასების პროცესში.[282] ეს მათ შორის გულისხმობს მისი ხედვებისა და პიროვნული სურვილების გათვალისწინებას.[283]

278 იქვე, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

279 იქვე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

280 იქვე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

281 იქვე, 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

282 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 67.

283 იქვე.

მსჯავრდებულის ჩართულობა მინიმალიზებულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ეტაპზეც. არსებული ნორმატიული მოწესრიგებით, მულტიდისციპლინური გუნდი (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი ან/და ფსიქოლოგი) ადგენს ინდივიდუალურ გეგმას და აცნობს ბენეფიციარს.[284] გეგმის ხელმოწერაზე მსჯავრდებულის უარის შემთხვევაში, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის აღნიშვნით.[285] შესაბამისად, შეზღუდულია სივრცე ბენეფიციარის წუხილებისა თუ სურვილების განხილვისა და მისი გათვალისწინებისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის ეტაპზეც.

სრულ სურათში, კიდევ უფრო დიდ პრობლემასთან გვაქვს საქმე, თუ გავითვალისწინებთ, რომ შემთხვევის მართვის ინდივიდუალური დაგეგმვა და, შესაბამისად, მსჯავრდებულისთვის მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზება, დამოკიდებულია გუნდის შექმნის ფაქტობრივ შესაძლებლობაზე (გუნდი ვერ შეიქმნება იქ, სადაც ხელმისაწვდომი არ არის სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის მომსახურება).[286] პრობაციის სააგენტოში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების შეზღუდული წარმომადგენლობის გათვალისწინებით, გუნდის შექმნის ფაქტობრივი შესაძლებლობები მკვეთრად ლიმიტირებულია (რესურსების განაწილებაზე დეტალურად მომდევნო თავში იქნება საუბარი).

უშუალოდ ნარკოდანაშაულებთან მიმართებით საინტერესოა სხვა გარემოებებიც. კანონის მიხედვით, *„პრობაციის ოფიცერი უფლებამოსილია, ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს პერიოდულად ან გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში მოსთხოვოს შესაბამისი ნარკოლოგიური შემოწმების 5 სამუშაო დღის განმავლობაში გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა. თუ მსჯავრდებულს ამ პუნქტით გათვალისწინებული ნარკოლოგიური შემოწმების გავლის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება, გარდა მსჯავრდებულის მიერ ამ ნივთიერების სამკურნალო მიზნით მოხმარებისა, პრობაციის ბიურო ვალდებულია, ეს ფაქტი აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს“.*[287] უნდა ითქვას, რომ ზოგადად, როცა მსჯავრდებული მკურნალობა-რეაბილიტაციის პროცესშია ჩართული, ამგვარი მოთხოვნის არსებობა ნამდვილად შეიძლება იყოს ლეგიტიმური. თუმცა, ამ მოწესრიგებას ორი პრობლემა აქვს: 1) გაუგებარია, რას ეფუძნება პრობაციის

284 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

285 იქვე, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

286 იქვე, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

287 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-12 მუხლის 1^2-ლი პუნქტი.

ოფიცრისთვის ამდენად ფართო დისკრეციის მინიჭება. საჭიროა, ამგვარი უფლებამოსილება არსებობდეს იმ კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით, როცა ბენეფიციარი ჩართულია რელევანტურ სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებში და, შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარების საკითხის დადგენა არსებითია მისი ინდივიდუალური გეგმის წარმატებით დასრულების ინტერესებიდან გამომდინარე; 2) ნარკოტიკების მომხმარებლების კონტროლის და რეპრესიაზე მიმართული პოლიტიკის გამოვლინებაა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დადასტურების შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირების ვალდებულება. ეს ნორმა აირეკლავს საქართველოში არსებულ იმ რეპრესიულ ნარკოპოლიტიკას, რომელიც, დღემდე, ნარკოტიკების მომხმარებლებზე ზრუნვის ნაცვლად, მათ დასჯაზეა ორიენტირებული. აღნიშნული საკითხი, ბუნებრივია არ უნდა განვიხილოთ ზოგადად ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკისგან მოწყვეტილად. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში, მარიხუანის გარდა, ნარკოტიკული საშუალებების დეკრიმინალიზაცია არ განხორციელებულა. სხვა ნარკოტიკის მოხმარება დღემდე სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა. შესაბამისად, დასახელებული ნორმით დამკვიდრებული, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ინფორმირებულობის ვალდებულება, ზედამხედველობასა და დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის ჯაჭვის [ლოგიკური] გაგრძელებაა. ამდენად, ამ კონკრეტული საკანონმდებლო მოწესრიგების კრიტიკის დროს, ჩვენ მხედველობის არედან არ გვრჩება ის ფაქტი, რომ საკითხი უნდა დავინახოთ სისტემური ტრანსფორმაციის ნაწილად (რაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაციას გულისხმობს).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ მიმართა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, მოეწოდებინა ინფორმაცია, რამდენჯერ მოითხოვეს პრობაციის ოფიცრებმა, ზემოაღნიშნული საფუძვლით, პირობით მსჯავრდებულისაგან ნარკოლოგიური შემოწმების გავლა, და აქედან რამდენჯერ აცნობა პრობაციის ბიურომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს (2018-2021 წლები). აღმოჩნდა, რომ სააგენტო ამ ინფორმაციას არ ამუშავებს,[288] რაც დამატებითი პრობლემაა, რამდენადაც ადამიანთა კონტროლზე მიმართული სტრატეგიები გაუსაჯაროებელი, მისი მასშტაბი კი ბუნდოვანი რჩება.

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ზრუნვაზე ორიენტირებული მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერებისთვის აუცილებელია უწყებათაშორისი მუშაობა. ეს აუცილებელია პრობაციონერების კომპლექსური საჭიროებების დანახვის, მათი გაძლიერებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.[289] ასეთი ტიპის მჭიდრო კავ-

288 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

289 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 12.

შირები ვითარდება უწყებათაშორისი პროტოკოლების შემუშავების გზით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციების გაცვლას, ბენეფიციარების გადამისამართებას, ურთიერთთანამშრომლობის გამარტივებას, მოქმედების საერთო სტრატეგიების დაგეგმვასა და სხვა მეთოდებს.[290] კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესო იყო, არსებობს თუ არა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან რაიმე ტიპის უწყებათაშორისი მემორანდუმები, პროტოკოლები ან სხვა ტიპის დოკუმენტები. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამგვარი დოკუმენტები უწყებებს შორის გაფორმებული არ არის.[291]

დასახელებულ მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად, სისტემაში ვხვდებით პოზიტიურ მიდგომებსაც. პრობაციის სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია, პირის მომართვისა და ნარკოლოგიური დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე, განიხილავს და წყვეტს ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირისთვის ჩამორთმეული უფლებების ვადამდე აღდგენის ან უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირების საკითხს (ჩამორთმევის ვადის ერთი მესამედის გასვლის შემდეგ).[292] საჯარო ინფორმაციის გამოთხოვით დგინდება, რომ მიმართვის შემდეგ კომისიის მხრიდან დაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან მაღალია, განსაკუთრებით 2018-2020 წლებში (98-99%).[293] მცირედი კლება შეინიშნებოდა 2021 წელს (91%).[294]

პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (ჩამორთმეული უფლების აღდგენა/ შემცირება სხდომის თარიღამდე)	მომმართველთა რაოდენობა	დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა
2018 წელი	500	492
2019 წელი	419	415
2020 წელი	276	274
2021 წელი 30 ოქტომბრის ჩათვლით	211	193
ჯამი	1406	1374

290 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 31.

291 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386 და № 2/41282.

292 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 22^1-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

293 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

294 იქვე.

მუდმივმოქმედი კომისია ასევე იღებს გადაწყვეტილებას პირობით მსჯავრდებულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულებისთვის (ასევე ორსული ქალისათვის სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევებში), პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ.[295] აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც დაკმაყოფილების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (2018-2020 წლებში 96-99%-ის ფარგლებში), თუმცა, 2021 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით აშკარა გაუარესების მაჩვენებელი იკვეთება (დაახლოებით 72%).[296]

პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია (პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა)	მომმართველთა რაოდენობა	დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა
2018 წელი	4455	4408
2019 წელი	4376	4259
2020 წელი	3772	3614
2021 წელი 30 ოქტომბრის ჩათვლით	1557	1116
ჯამი	14160	13397

ამ შემთხვევაში დამატებით არსებობს გაუმართლებელი საკანონმდებლო ბარიერები. კერძოდ, თავად მსჯავრდებულს არ აქვს უფლება, რომ პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის თხოვნით მიმართოს მუდმივმოქმედ კომისიას. მსჯავრდებულმა ამ მიზნით ჯერ განცხადებით უნდა მიმართოს ბიუროს უფროსს (ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულმა ამასთანავე უნდა წარმოადგინოს ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ შესაბამისი დასკვნა), ეს უკანასკნელი კი იღებს გადაწყვეტილებას, იშუამდგომლოს თუ არა მუდმივმოქმედ კომისიასთან საკითხის გადასაწყვეტად.[297]

გაუგებარია, რატომ ენიჭება პრობაციის ბიუროს უფროსს ამ მასშტაბის დისკრეცია, და რატომ არ შეუძლიათ მსჯავრდებულებს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის მოთხოვნით დამოუკიდებლად მიმართონ მუდმივმოქმედ კომისიას. ბუნებრივია, ბიუროს უფროსს უნდა ჰქონდეს უარყოფითი დასკვნის დაწე-

295 უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლამდე პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებდა. მიიჩნევა, რომ ეს მოდელი სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო გამართულია. თუმცა, სასამართლოების გადატვირთულობიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების სწრაფი და ეფექტიანად მიღებისათვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ უფლების გადაცემა სხვა უწყებაზე. ამ მიზნით, 2011 წლის ბოლოს შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც 5 წევრისგან შედგება. დეტალურად იხ.: გიორგი აროშვილი, გივი მიქანაძე და მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 182-183, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ruvv94, წვდომის თარიღი: 19.04.2022.

296 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

297 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

რის უფლება, თუმცა ეს არ უნდა გახდეს თავად მუდმივმოქმედ კომისიამდე საკითხის მისვლის დამაბრკოლებელი გარემოება. დამატებით პრობლემურია ის ფაქტი, რომ არც კანონით და არც სააგენტოს დებულებით არ არის განსაზღვრული, თუ როგორ და რა პროცედურით იღებს გადაწყვეტილებას ბიუროს უფროსი. შესაბამისად, ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგებისა და გაუმჭვირვალობის პირობებში, არსებობს დისკრიმინაციის, თვითნებობის, მიკერძოებისა და უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების რისკები.

დამატებით პრობლემაა ის, რომ მუდმივმოქმედი კომისია, როგორც პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, ასევე ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით უფლების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, ზეპირი მოსმენის გარეშე იღებს.[298] ეს მიდგომა ეწინააღმდეგება გამჭვირვალობის პრინციპს – პირობით მსჯავრდებულისთვის გაუგებარი რჩება, რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო კომისიამ გადაწყვეტილება. ამგვარი მიდგომის საკომპენსაციოდ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობა ეფექტიან, მოქნილ და სწრაფ ალტერნატივად არ შეიძლება ჩაითვალოს.

განხილული საკანონმდებლო ნორმები და საჯარო ინფორმაცია პირველი ინდიკატორია იმისა, რომ პრობაციის დანიშნულება საქართველოში დანახულია უპირველესად კონტროლის და სასჯელის აღსრულების ტექნიკურ ნაწილში, ზრუნვის ვალდებულება კი პოლიტიკის ცენტრალურ კომპონენტად არ განიხილება.

გაანალიზებული საკითხები ქართულ პრობაციის სისტემაში კონტროლის ფუნქციების დომინირების ზოგად სურათს აჩვენებს, რომლითაც იკვეთება, რომ საქართველოში პრობაციის სისტემა ნაკლებად არის ორიენტირებული მსჯავრდებულის სოციალურ გაძლიერებაზე. მომდევნო თავებში დამატებით შევეცდებით იმის გამოკვეთას, თუ რა პრობლემებია საქართველოში ამ კუთხით და რატომ ვერ ახერხებს პრობაციის სააგენტო სოციალური ფუნქციის სათანადოდ შესრულებას.

298 საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 22^1-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

IX. სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებზე ხელმისაწვდომობა პრობაციის სისტემაში და მათი სპეციალიზება

სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების საქმიანობა პრობაციის სისტემაში ზრუნვის მიდგომების განხორციელების მექანიზმია. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები მიუთითებს, რომ პრობაციის სამსახურების მიერ განხორციელებული ინტერვენციების მიზანი რეაბილიტაცია და დანაშაულის განმეორების თავიდან არიდებაა.[299] ამ პროცესში, ხშირად, საჭირო ხდება სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების აქტიური გამოყენება, დასაქმების გზების, საგანმანათლებლო პროგრამების და სხვა შესაძლებლობების შეთავაზება, აგრეთვე ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა.[300] შესაბამისად, აუცილებელია, პრობაციის ბიუროებსა და ოფისებში სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილები სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. პრობაციის ორი ფუნქციიდან გამომდინარე (ზრუნვა და ზედამხედველობა), სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომსახურება სულ მცირე იმავე მნიშვნელობისაა, როგორიც პრობაციის ოფიცრების.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების თანახმად, პენიტენციური დაწესებულებების მიღმა *„პრობაციის სააგენტოში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა შემთხვევის მართვა მიმდინარეობს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ხელმისაწვდომია სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები“.*[301] ამ ფონზე, არც საკანონმდებლო ბაზა და არც რაიმე პოლიტიკის დოკუმენტი არ გამოკვეთს ორიენტირებს, თუ რა სტრატეგიით უნდა მოხდეს მთელი საქართველოს მასშტაბით პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სრულფასოვანი ინტეგრირება. მეტიც, არ ვლინდება, რომ ეს საკითხი ზოგადად პრიორიტეტულია სახელმწიფოსთვის.

საკითხი მით უფრო პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ რთულდება პრობაციის სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის – შემთხვევის მულტიმოდალური მართვის განხორციელება. აღნიშნული გულისხმობს, რომ *„პრობაციის სააგენტოებმა უნდა გამოიყენონ ინტერდისციპლინურ მიდგომებზე დამყარებული*

299 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 76.

300 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 76.

301 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ“.

განსხვავებული მეთოდები".[302] მულტისიპლინური მუშაობის მნიშვნელობას და მისი გამოყენების გზებს ასევე ადგენს საქართველოს კანონმდებლობაც, თუმცა ის ამ პრინციპს აბსოლუტურ მნიშვნელობას არ ანიჭებს. როგორც უკვე ითქვა, მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა დამოკიდებულია კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაკის ან/და ფსიქოლოგის ფაქტობრივ ხელმისაწვდომობაზე.[303]

კანონმდებლობით დამკვიდრებული ეს მიდგომა შესაბამისად აისახება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრობაციის ბიუროებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ხელმისაწვდომობაზე. პრობაციის სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ 2022 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სულ 49 სოციალური მუშაკია დასაქმებული.[304] მათგან 40 დასაქმებულია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში, 5 ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში, 4 კი – არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში.[305] ფსიქოლოგების რაოდენობა კი ჯამში არის 20 (3 მათგანი დასაქმებულია არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში, 16 – მსჯავრდებულთა, ხოლო 1 – ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში).[306]

ამ ზოგადი მონაცემიდან უკვე ნათელია პრობლემის მასშტაბი, რომელიც ორი გარემოებიდან გამომდინარეობს: 1) არსებობს აშკარა დისპროპორციაა ერთი მხრივ, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების, მეორე მხრივ, პრობაციის ოფიცრების წარმომადგენლობის მასშტაბებს შორის. კერძოდ, თუ სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ფაქტობრივი რაოდენობა შესაბამისად არის 49 და 20, პრობაციის ოფიცრების საერთო ოდენობა 139-ს შეადგენს;[307] 2) ეს რიცხვები განსაკუთრებით მცირეა იმ ფონზე, როცა, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ ნარკოტიკული დანაშაულების სპეციფიკური ნორმებით პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა, ბოლო წლებში, საშუალოდ 5000-ს აღწევს. მეტი თვალსაჩინოებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტო ბევრად მეტ პირობით მსჯავრდებულს ემსახურება, თუ გავითვალისწინებთ ყოველწლიურად პირობით მსჯავრდებულთა სრულ

302 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 77.

303 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ", 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

304 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386.

305 იქვე.

306 იქვე.

307 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

რიცხვს (ყველა ტიპის დანაშაულზე, ბოლო 4 წლის მონაცემებით, საშუალოდ არის 20.000).[308]

დასახელებული ფაქტების ლოგიკური გაგრძელებაა ის, რომ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დატვირთულობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია. სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ საქმეების საშუალო რაოდენობამ ერთ პრობაციის ოფიცერზე, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, 135 შეადგინა.[309]

აღსანიშნავია, რომ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დატვირთულობის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. საილუსტრაციოდ, ყველაზე მაღალი დატვირთულობის მაჩვენებელი სოციალური მუშაკების შემთხვევაში თბილისშია. კერძოდ, თბილისში 1 სოციალურ მუშაკზე მიმდინარე საქმეების რაოდენობამ (საშუალოდ თვეში გადანაწილებული საქმეები), 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 2022 წლის 1-ლ იანვრამდე პერიოდში, შეადგინა 106.[310] ფსიქოლოგის შემთხვევაში, ანალოგიური პრინციპით, 1 ფსიქოლოგზე დატვირთულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაში ფიქსირდება – 142.[311]

ევროპის საბჭოს 2020 წლის ანგარიშის თანახმად, ევროპის ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში, პრობაციის თანამშრომლების დატვირთულობის მაჩვენებელი ბევრად დაბალია, ვიდრე საქართველოში.[312] ასევე საინტერესოა, რომ დიდი ბრიტანეთის პრობაციის ინსპექტორის სამსახურმა (HM Inspectorate of Probation) 2021 წელს გამოაქვეყნა კვლევა, რომლის მიხედვითაც, ერთ თანამშრომელზე საშუალოდ 50 საქმე მართვადი იყო, უფრო მეტი კი, როგორც წესი, მომსახურების ხარისხს მკვეთრად აუარესებდა.[313]

308 პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 19.948; 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 20.205; 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 19.422; 2021 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით – 17.985. სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

309 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386.

310 იქვე.

311 იქვე.

312 დატვირთულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება მხოლოდ 6 ქვეყანაში, ესენია: საბერძნეთი, მონაკო, რუმინეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი და თურქეთი. Marcelo F. Aebi and Yuji Z. Hashimoto, Persons under the supervision of probation agencies, Council of Europe, 2020, pp. 116-117, available at: https://bit.ly/3jKwRrT, accessed on: 19.04.2022.

313 Caseloads, workloads and staffing levels in probation services, HM Inspectorate of Probation, Research & Analysis Bulletin 2021/02, 2021, p. 4, available at: https://bit.ly/3rw4KRA, accessed on: 19.04.2022.

აქვე უნდა ითქვას, რომ დატვირთულობის მოცემული მაჩვენებლები მხოლოდ ზოგადი სურათის შექმნისთვის არის გამოსადეგი. დატვირთულობის შეფასების ყველაზე სწორ გზად ჰოლისტური მიდგომა მიიჩნევა, როცა მხედველობაში მიიღება თითოეული საქმის სირთულე და საჭიროებები, და არა უბრალოდ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სამართალდამრღვევთა მშრალი ოდენობა.[314] კვლევის ლიმიტაციებიდან გამომდინარე, ამგვარი შეფასების განხორციელება შეუძლებელია.

სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მასშტაბური პრობლემის დანახვა შეიძლება, თუ დავაკვირდებით მათ წარმომადგენლობას რეგიონულ დონეზე. რეგიონების მასშტაბით, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით სოციალური მუშაკების წარმომადგენლობა ასეთია:

ქალაქი/რეგიონი	სოციალური მუშაკების რაოდენობა
თბილისი	14
აჭარა და გურია	5 (აქედან 3 ემსახურება სრულად აჭარის რეგიონს, 1 – სრულად გურიის რეგიონს, 1 – ოზურგეთის მუნიციპალიტეტს)
შიდა ქართლი	4 (აქედან 3 ემსახურება სრულად რეგიონს, 1 – გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს)
ქვემო ქართლი	4 (აქედან 2 ემსახურება სრულად რეგიონს, 1 – რუსთავსა და მარნეულს, 1 – ქ. რუსთავს)
კახეთი	3 (აქედან 2 ემსახურება სრულად რეგიონს, 1 კი თელავის მუნიციპალიტეტს)
სამცხე-ჯავახეთი	3 (აქედან 2 ემსახურება სრულად რეგიონს, 1 – ასპინძის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებს)
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3 (აქედან 1 ემსახურება სრულად რეგიონს, 1 – სენაკისა და ფოთის მუნიციპალიტეტებს და 1 – ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებს)
იმერეთი	2
მცხეთა-მთიანეთი	1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1

ამასთანავე, ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში დასაქმებული 5 სპეციალისტი მთელი საქართველოს მასშტაბით ემსახურება ბენეფიციარებს; არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში დასაქმებული სოციალური მუშაკებიდან 2 ემსახურება თბილისს, 2 – კი იმერეთის რეგიონს.[315]

314 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 29.

315 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386.

ფსიქოლოგების შემთხვევაში, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით არსებული სპეციალისტებიდან, თითქმის ყველა რეგიონში წარმოდგენილია თითო ფსიქოლოგი, თბილისში კი მათი რიცხვი 5-ს შეადგენს. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სამმართველოში დასაქმებული 1 ფსიქოლოგი ბენეფიციარებს მთელი საქართველოს მასშტაბით ემსახურება. არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის 2 სპეციალისტი ემსახურება თბილისს, 1 კი – იმერეთს.[316]

თბილისსა და რეგიონებში მოსახლეობის განსხვავებული რაოდენობები და სპეციფიკური კრიმინოგენული ფაქტორები, ბუნებრივია, არის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების არაერთგვაროვანი წარმომადგენლობის ამხსნელი (ეს ასეა პრობაციის ოფიცრების შემთხვევაშიც). ამასთანავე, სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ამდენად მცირე კონტიგენტი (როცა მთელ რეგიონში, ან უარეს შემთხვევაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, შესაძლოა მათი რიცხვი 1-2 იყოს), დატვირთულობასთან ერთად გეოგრაფიული/ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრობლემაზეც მიუთითებს. ეს მონაცემები ფაქტობრივად ეჭვქვეშ აყენებს სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებზე პირობით მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა ადეკვატური ხელმისაწვდომობის შანსებს, მით უფრო იმ ფონზე, როცა მათ მიერ გასაწევი სამუშაო არ არის ტექნიკური: ის მოიცავს ველზე მუშაობის, შეფასების და ინდივიდუალური მიდგომების ფართო და განსხვავებულ სპექტრს, რომლის სათანადოდ განსახორციელებლად შესაბამისი დროითი და ადამიანური რესურსებია აუცილებელი. ისიც აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრის შემთხვევაში, სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ერთეული წარმომადგენლობებიც კი, მხოლოდ თბილისსა და იმერეთის რეგიონში ფიქსირდება. პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რესურსების ზრდის პროცესში, მნიშვნელოვანია, ეს ფაქტორები იყოს გათვალისწინებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ პრობაციის ოფიცრები წარმოდგენილები არიან ფაქტობრივად ყველა ქალაქში/რაიონულ ცენტრში (რაც, ბუნებრივად, განპირობებულია მათი შედარებით მეტი ოდენობით).[317] შესაბამისად, მაღალია მათზე ტერიტორიული ხელმისაწვდომობა. ეს ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა ნაკლებად პრიორიტეტულად ხედავს პრობაციის სისტემაში ზრუნვაზე ორიენტირებული სერვისების გაძლიერების მნიშვნელობას, და ძირითად რესურსს სისხლისსამართლებრივი მექანიზმებისკენ მიმართავს.

316 იქვე.

317 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

რაც შეეხება პრობაციის სააგენტოს პერსონალის სპეციალიზებას, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში მითითებულია, რომ პრობაციის სააგენტოს ის თანამშრომლები, ვისაც სპეციფიკურ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებთან უწევთ მუშაობა, სათანადოდ უნდა იყვნენ სპეციალიზებულები.[318] ამავე რეკომენდაციების ოფიციალური კომენტარების მიხედვით, ერთ-ერთ ასეთ ჯგუფად, სხვებს შორის, დასახელებულია ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულებიც, რომელთა ქცევის ცვლილება სხვადასხვა ტიპის სირთულესთან არის დაკავშირებული (ამ შემთხვევაში, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულად ნარკოტიკების ავადმოხმარებაზე).[319]

საქართველოს კონტექსტში, იმის გათვალისწინებითაც, რომ ნარკოდანაშაულში პირობით მსჯავრდებულები სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად წარმოდგენილი ჯგუფია, სააგენტოში შესაბამისი სპეციალიზების საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით ირკვევა, რომ პრობაციის ოფიცრები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები საბაზისო კურსს გადიან სააგენტოს სამიზნე ჯგუფებთან საქმიანობის შესახებ, რომელიც, მათ შორის, ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირებსაც მოიცავს.[320] სპეციალიზებული კურსის გავლის ვალდებულება აქვთ მხოლოდ იმ სპეციალისტებს, რომლებსაც უწევთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან მუშაობა.[321] მნიშვნელოვანია, რომ სააგენტოში საბაზისო კურსთან ერთად არსებობდეს სპეციალიზაციის მოდული, რომელიც თანამშრომლებს ნარკოდანაშაულის კონტექსტისა და მახასიათებლების შესახებ მეტი ცოდნით აღჭურავს.

318 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 27.

319 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 27.

320 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/15386.

321 იქვე.

X. კვლევა და ტრანსფარენტულობა

კვლევითი საქმიანობა პრობაციის სააგენტოების ქვაკუთხედი უნდა იყოს.[322] ითვლება, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის მასშტაბების დადგენის, სპეციფიკური კონტექსტების ანალიზისა და მუშაობის საუკეთესო მეთოდების შემუშავებისთვის.[323] არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ცვლილებაც *„დაფუძნებული უნდა იყოს სანდო სამეცნიერო ცოდნასა და კვლევა-ძიებაზე, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან“.*[324] გარდა ამისა, საზოგადოებას და მედიას რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია პრობაციის სააგენტოების საქმიანობის შესახებ, მათ შორის განხორციელებული სამუშაოების მიზნებისა და შედეგების თაობაზე.[325]

ქართულ პრობაციის სისტემაში კვლევაზე დაფუძნებული საქმიანობის პრობლემა განსაკუთრებით თვალშისაცემია შემდეგი მიმართულებებით:

პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების მომსახურების ეფექტიანობა – პრობაციის სააგენტოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია მათი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება კვლევაზე დაფუძნებული მიდგომებით, რაც უნდა განსაზღვრავდეს პრობაციის პოლიტიკებსა და პრაქტიკებს.[326] კვლევების განხორციელება არსებითია, რათა დადგინდეს პრობაციის ეფექტიანობა მის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.[327] საქართველოში, ამ მხრივ, პრობაციის სისტემა აშკარა გამოწვევის წინაშეა, რადგან არ იკვეთება, რას ეფუძნება რესურსების არსებული გადანაწილება, როგორ განისაზღვრება, რამდენად ეფექტიანია ის და კონკრეტულად რა პრობლემებია ბენეფიციარების სათანადო მომსახურების კუთხით. *პრობაციის ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „სააგენტოს მოცემულ ეტაპზე არ აქვს მისი ფუნქციონირების კვლევის დოკუმენტი/მეთოდოლოგია. ამჟამად მიმდინარეობს სააგენტოს 2022-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების პროცესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, განხორციელდება სააგენტოს თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, ასევე, პროგრამების, ტრენინგებისა და მომსახურებების*

322 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 104.

323 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 104.

324 Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010, para.: 105.

325 Ibid, para.: 106.

326 Ibid, para.: 16.

327 European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010, para.: 16.

შეფასება, რაც ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შესაბამის მონიტორინგთან ერთად, უზრუნველყოფს სააგენტოს და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების შეფასებას".[328]

ფოკუსირებული კვლევები ნარკოდანაშაულის კუთხით – ნარკოდანაშაულში პირობით მსჯავრდებულები, ყოველწლიურად, პირობით მსჯავრდებულთა სრული რაოდენობის დაახლოებით მეოთხედს წარმოადგენენ. ეს კი, ეკონომიკური დანაშაულების შემდეგ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.[329] ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტო სწავლობდეს ყველაზე გავრცელებული დანაშაულების გამომწვევ ფაქტორებს, პირობით მსჯავრდებულთა სოციალურ კონტექსტს. ეს არსებითია პრობაციის სააგენტოს მხრიდან პოლიტიკის დაგეგმვისა და სოციალურ გაძლიერებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვისთვის. პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდება, რომ ამ მხრივ სააგენტოში არ მიმდინარეობს რაიმე ტიპის აქტიური კვლევითი საქმიანობა და მშრალი სტატისტიკების შეგროვებაც კი არ ხდება (გარდა პირობით მსჯავრდებულთა სრულწლოვან და არასრულწლოვან კატეგორიებად დაყოფისა). პირობით მსჯავრდებულების სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების მშრალი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია უზენაეს სასამართლოსთან კოორდინაციის გზით, რომელიც თავს უყრის მსჯავრდებულთა ამგვარ მონაცემებს.

გარდა ამისა, როგორც ითქვა, სააგენტო არ აწარმოებს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულების გარდა, რა მოვალეობები ეკისრებათ შესაბამის ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებს; გამიჯნული სტატისტიკური მონაცემები, შესაბამის ნარკოდანაშაულში პირობით მსჯავრდებულ პირთათვის მიწოდებული სავალდებულო და არასავალდებულო სარეაბილიტაციო კურსების შესახებ; რაიმე ტიპის მონაცემები/სტატისტიკა იმის თაობაზე, შესაბამის ნარკოდანაშაულებში მსჯავრდებულმა რამდენმა პრობაციონერმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული პირობითი ვადის დროის ფარგლებში ან მისი გასვლის შემდეგ (წარმოებს მხოლოდ ზოგადი სტატისტიკა, ჯამურად ყველა დანაშაულში მსჯავრდებულ პრობაციონერებთან დაკავშირებით); სტატისტიკა იმის თაობაზე, თუ რამდენმა პირობით მსჯავრდებულმა ჩაიდინა განმეორებით დანაშაული, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ან მისი გასვლის შემდეგ (არც ზოგადი, და არც კონკრეტულად ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით); ბოლო წლების განმავლობაში, რამდენჯერ მოსთხოვეს პრობაციის ოფიცრებმა ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებულებს ან პირობით ვადა-

328 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია № 2/108557.

329 იქვე.

მდე გათავისუფლებულ პირებს ნარკოლოგიური შემოწმების გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა.[330]

ზემოქმულიდან ნათლად იკვეთება, რომ კვლევასა და ანალიტიკაზე დაფუძნებული საქმიანობა პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ძალზე ფრაგმენტულად მიმდინარეობს და კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხებს ფაქტობრივად არ მოიცავს. მნიშვნელოვანია, რომ ეს მიდგომა რადიკალურად შეიცვალოს და სააგენტო არსებითად კვლევაზე ორიენტირებულ უწყებად გარდაიქმნას.

კვლევასა და სტატისტიკების წარმოებაზე ორიენტირებული სამუშაოს გარდა, პრობლემურია ზოგიერთ საკითხთან მიმართებით პრობაციის სააგენტოს მიდგომა, არ გაასაჯაროვოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციები. კვლევის ფარგლებში დიდ ინტერესს იწვევდა, თუ რა სახელმძღვანელო დოკუმენტებს, „გაიდლაინებს“ ან პროგრამებს ეყრდნობა პრობაციის ეროვნული სააგენტო ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნებისთვის. სააგენტომ მოგვაწოდა ინფორმაცია დანერგილი სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, რომ *„აღნიშნული სარეაბილიტაციო პროგრამები/მოდულები ითვალისწინებს სხვადასხვა ფსიქოაქტიური, ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების მართვას, ადიქციასთან მუშაობის პრინციპებსა და ჩავარდნის პრევენციას.“*[331] ამასთანავე, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, ნარკოდანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებული პირებისთვის 2019 წლის დეკემბრიდან 2021 წლის აგვისტომდე პერიოდში შემუშავდა *„ნარკოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამა საქართველოს პენიტენციური და პრობაციის სისტემებისთვის“.*[332]

სააგენტომ აღნიშნა, რომ *„საერთაშორისო პრაქტიკის, დოკუმენტების სენსიტიური ხასიათისა და არამიზნობრივად გამოყენების რისკის გათვალისწინებით, სააგენტოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, სარეაბილიტაციო პროგრამებისა და მისი თანმდევი სახელმძღვანელო დოკუმენტაციის გადაცემა“.*[333] უნდა აღინიშნოს, რომ საკითხით დაინტერესებულ, განსაკუთრებით კი პროფესიულ ჯგუფებს, უნდა ჰქონდეთ წვდომა იმ ტიპის პოლიტიკის ან სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, რომლის საფუძველზეც მუშავდება და ბენეფიციარებს მიეწოდებათ შესაბამისი სარეაბილიტაციო სერვისები. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება კონკრეტული პიროვნებისთვის შედგენილი ინდივიდუალური პროგრამები. თუ საზოგადოებას არ ექნება ცოდნა იმის შესახებ, რა ძირითად პრინციპებს, მიდგომებსა და სტრატეგიებს ეყრდნობა სააგენტო ბე-

330 იქვე.
331 იქვე.
332 იქვე.
333 იქვე.

ნეფიციარებთან მუშაობისას, შეუძლებელი იქნება ამ სამუშაოს გარე კონტროლი და საფუძველი გამოეცლება ანგარიშვალდებულების იდეას. ამდენად, აუცილებელია, სააგენტო საზოგადოებას აწვდიდეს ამგვარ ინფორმაციას, ყველა შესაბამისი რისკის დაზღვევისა და გათვალისწინების დათქმით.

დასკვნა და რეკომენდაციები

წარმოდგენილმა კვლევამ უპირველესად აჩვენა ის, რომ საქართველოში პრობაციის სისტემის ფუნქციონირების ლოგიკა ხელახალ გააზრებას საჭიროებს. როგორც ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ანგარიშშია მითითებული, საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც პრობაცია პენიტენციური სისტემის დამატებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. საქართველო მოწინავეთა რიგებშია არა მხოლოდ პატიმრების, არამედ პრობაციონერების რაოდენობითაც (მოსახლეობის საერთო რიცხვთან შეფარდებით). შესაბამისად, სასჯელის პოლიტიკაში პრობაციის სისტემის ტრანსფორმაციული როლი ფაქტობრივად უგულებელყოფილია.

საქართველოში პრობაციის სისტემაზე დაკვირვება ნათლად აჩვენებს, რომ მისი ფუნქციონირება არსებითად ეფუძნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოქმედების პრინციპებს. როგორც კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, ასევე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში რესურსების განაწილებაზე მრავალმხრივი დაკვირვებით, იმის თქმა შეგვიძლია, რომ პრობაციის სისტემაში დომინირებს კონტროლსა და ზედამხედველობაზე ორიენტირებული მექანიზმები. ზრუნვა და სოციალური გაძლიერება, რომელიც პრობაციის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა, საქართველოში მეორეხარისხოვნად არის დანახული.

არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის ფონზე, როგორც გამოჩნდა, პრობაცია ვერ ახერხებს რაიმე ტიპის სისტემური გარდატეხა შეიტანოს ნარკოდანაშაულებში მსჯავრდებულ ადამიანებთან მუშაობაში, მათ სოციალური გაძლიერებასა და ინკლუზიაში, ზრუნვასა და დახმარებაში. ეს განსაკუთრებით სამწუხაროა იმის გამო, რომ ნარკოდანაშაულის სპეციფიკის და მისი სოციალური დეტერმინანტების გათვალისწინებით, პრობაციის სისტემას უნდა შეეძლოს ზრუნვის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება. ამ მიმართულებით პოლიტიკის ტრანსფორმაციის ხელშემშლელ მთავარ ფაქტორებად არასაკმარისი საკანონმდებლო გარანტიები, მწირი ადამიანური რესურსები და პრაქტიკაში ზედამხედველობის პრინციპების დომინირება უნდა მივიჩნიოთ.

საბოლოოდ, ამ კვლევის ფარგლებში დამუშავებული ინფორმაციისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, რელევანტური სახელმწიფო უწყებებისადმი შემდეგი რეკომენდაციები გამოიკვეთა:

- პრობაციის სისტემაში კონტროლსა და ზედამხედველობაზე დაფუძნებული პოლიტიკა არსებითად უნდა შეიცვალოს და გაძლიერდეს ზრუნვაზე, მხარდაჭერასა და სოციალურ ინკლუზიაზე ორიენტირებული მიდგომები;
- ნარკოდანაშაულებთან მიმართებით, პირობით მსჯავრთან ერთად, ნაკლებად

უნდა გამოიყენებოდეს ისეთი დამატებითი სასჯელები, რომლებიც პირზე სოციალურ და ფინანსურ წნეხს ზრდის (ჯარიმა და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა);

- უნდა შეიზღუდოს და დავიწროვდეს პრობაციის ოფიცრის ფართო დისკრეცია, ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ნარკოტიკული დანაშაულისათვის პირობით მსჯავრდებულსა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს, ნარკოლოგიური შემოწმების გავლა და სათანადო დასკვნის წარმოდგენა. ამგვარი უფლებამოსილება უნდა არსებობდეს კონკრეტულ შემთხვევებთან მიმართებით (მაგალითად, როცა ნარკოტიკის მოხმარების საკითხის დადგენა არსებითია ბენეფიციარის მკურნალობა-რეაბილიტაციის წარმატებით დასრულების ინტერესიდან გამომდინარე);
- ამ კონტექსტში, პირობით მსჯავრდებულისთვის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენა ავტომატურად არ უნდა გულისხმობდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის შეტყობინების ვალდებულებას (ის ყურადსაღები შეიძლება იყოს, თუ სხვა დანაშაულთან ან კონკრეტული მოვალეობის შეუსრულებლობასთან არის კავშირში). აღნიშნული ცვლილება უნდა იყოს სისტემური ტრანსფორმაციის ნაწილი, რაც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაციას გულისხმობს;
- არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში, მნიშვნელოვანია, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტო ამუშავებდეს ინფორმაციას, რამდენჯერ მიმართა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს;
- პირს დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მუდმივმოქმედი კომისიისთვის მიმართვა, მისთვის პირობითი მსჯავრის გაუქმების და ნასამართლობის მოხსნის თხოვნით;
- მუდმივმოქმედი კომისია, როგორც პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, ასევე ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით უფლების ვადამდე აღდგენაზე ან ამ უფლების ჩამორთმევის ვადის შემცირებაზე, გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენით უნდა იღებდეს;
- მნიშვნელოვანია, არსებითად გაიზარდოს პრობაციის სისტემაში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა, ასევე მათზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- ადამიანური რესურსების ზრდა და სათანადო მენეჯმენტი უნდა გახდეს პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დატვირთულობის მაჩვენებლის შემცირების საფუძველი;
- აუცილებელია, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდეს არსებული რესურსების ეფექტიანობის მრავალმხრივი კვლევა და შეფასება;
- უნდა გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ჩართულობა, პრობაციონერების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში;

- ბენეფიციარი უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული მისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში. მას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს თავად მოითხოვოს მისი სოციალური მდგომარეობის და პიროვნული მახასიათებლების (დინამიკური ფაქტორების) სიღრმისეული შესწავლა და შეფასება;
- პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ნორმატიული ვალდებულებები, სოციალური მხარდაჭერისა და გაძლიერების მომსახურებების მიწოდების ნაწილში, იმავე მასშტაბის უნდა იყოს, როგორიც ყოფილი პატიმრების შემთხვევაშია;
- პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გაწიოს მეტი ძალისხმევა, რათა მოხდეს ყოფილ პატიმართა ინფორმირება და მათი უფრო აქტიური ჩართვა სოციალური მხარდაჭერის პროგრამებში;
- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საბაზისო კურსთან ერთად უნდა არსებობდეს სპეციალიზაციის მოდული, რომელიც თანამშრომლებს ნარკოდანაშაულის კონტექსტისა და მახასიათებლების შესახებ მეტი ცოდნით აღჭურავს;
- პრობაციის ეროვნულ სააგენტოში უნდა დაიწყოს აქტიური კვლევითი საქმიანობა პირობით მსჯავრდებულთა სოციალური მახასიათებლების ანალიზისა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკების შემუშავებისთვის;
- ზოგადად, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ უნდა გაზარდოს ღიაობის ხარისხი, გააძლიეროს სტატისტიკასა და ანალიტიკაზე დაფუძნებული მუშაობა და აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეს საზოგადოებასთან. ამგვარი მიდგომები, დღესდღეობით, სააგენტოში ძალზე ფრაგმენტულია.

ბიბლიოგრაფია

ინგლისურენოვანი წყაროები:

- Jake Phillips, The social construction of probation in England and Wales, and the United States: implications for the transferability of probation practice, British journal of community justice, 8 (1), 2010;
- Rob Canton and Jane Dominey, Probation, Second Edition, Routledge, 2018;
- Marcelo F. Aebi, Yuji Z. Hashimoto and Mélanie M. Tiago, Probation and Prisons in Europe, 2020: Key Findings of the SPACE reports, Council of Europe, 2021;
- Marcelo F. Aebi and Yuji Z. Hashimoto, Persons under the supervision of probation agencies, Council of Europe, 2020;
- John Lea, Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis, International Journal for Crime, Justice and Social Democracy, 2016;
- Roger Hopkins Burke, An Introduction to Criminological Theory, Third Edition, Willan Publishing, 2009;
- William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, Rice University, 2013;
- Rob Canton, Why Do People Commit Crimes?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016;
- Lila Kazemian, What Are the Most Important Studies of Desistance and What Are the Future Research Needs?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016;
- Faye S. Taxman and Stephanie Maass, What Are the Costs and Benefits of Probation?, in *Probation – 12 Essential Questions,* edited by Fergus McNeill, Ioan Durnescu and René Butter, Palgrave Macmillan, 2016;
- The Scottish Centre for Crime and Justice Research (SCCJR), Theories and causes of crime, Glasgow, 2016;
- The Drugtakers: The Social Meaning of Drug Use by Jock Young, Review by: Mary McIntosh, The British Journal of Sociology, Vol. 23, No. 2, 1972;
- Eugene McLaughlin, See also Young 1971: Marshall McLuhan, moral panics and moral indignation, 2014;
- Gordon A. Crews, Determinism, The Encyclopedia of Theoretical Criminology, First Edition, edited by J. Mitchell Miller, 2014;
- Jeffrey Reiman and Paul Leighton, The Rich Get Richer and the Poor Get Prison: Ideology, Class and Criminal Justice, eleventh edition, Routledge, 2017;
- Torkild Hovde Lyngstad and Torbjørn Skardhamar, Changes in Criminal Offending around the Time of Marriage, Journal of Research in Crime and Delinquency, 2013;
- Paula Smith, Claire Goggin and Paul Gendreau, The Effects of Prison Sentences and Intermediate Sanctions on Recidivism: General Effects and Individual Differences –

2002-01, Centre for Criminal Justice Studies, University of New Brunswick, 2002;
- Caseloads, workloads and staffing levels in probation services, HM Inspectorate of Probation, Research & Analysis Bulletin 2021/02, 2021;
- Recommendation CM/Rec(2010)1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Probation Rules, 2010;
- European Committee on Crime Problems (CDPC) – d. Commentary to Recommendation CM/Rec (2010) 1 of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe probation rules, 2010.

ქართულენოვანი წყაროები:

- თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი და ანი ნასრაშვილი, დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში (საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის ცალკეული სახის ანალიზზე), სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021;
- იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა და სხვები, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021;
- დერილ ს. ინაბა და უილიამ ე. კოენი, ცადამყვანები, გამაბრუებლები და სხვები (ფსიქოაქტიური საშუალებების ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტები), მერვე გამოცემა, მთარგმნელები: მაკა ჩხეიძე, ქეთევან თოდაძე და სხვები, 2017;
- სამაგალითო დასჯა – საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, Human Rights Watch, 2018;
- თორნიკე გერლიანი, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ნარკოპოლიტიკაზე – მიღებული გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის პროცესის შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021;
- ანა ნასრაშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში (შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები), 2019;
- იოსებ აბესაძე, ნანა აღაპიშვილი და სხვები, ბიოფსიქოსოციალური მიდგომა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქართველოს ზრუნვის პლატფორმა, 2020;
- იოსებ აბესაძე, უჩა ვახანია და სხვები, ინტეგრირებული ზრუნვა, საქართველოს ზრუნვის პლატფორმა, 2021;
- გიორგი არაშვილი, გივი მიქანაძე და მორის შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015.

სამართლებრივი აქტები და გადაწყვეტილებები:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს კანონი „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა

აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ";

- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №485 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №502 „სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის №39 ბრძანება „მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" (ძალადაკარგული);
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის ბრძანება №33 „სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" (ძალადაკარგული);
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2015.

ელექტრონული რესურსები:

- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე – https://matsne.gov.ge/
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – https://constcourt.ge/ka
- საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახური – http://www.sps.gov.ge/
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – https://www.geostat.ge/ka
- საქართველოს ზრუნვის პლატფორმა – https://careplatform.ge/
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი – https://socialjustice.org.ge/
- Radio GIPA – http://blog.radiogipa.ge/
- ლიბერალი – http://liberali.ge/

საჯარო ინფორმაციის წყაროები:

- საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახური;
- სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო.